საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 13 დეკემბერი. 2018 წ. №252 (8653) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ადა მარშანია:

მოდით, საახალწლო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალურ მოძრაობას

ზაზა პაპუაშვილი:

რა გინდათ, გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ?



2 3 4

პოლიტიკური ველი ნაცებისგან უნდა გაწმინდოს!

სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრება

საქართველოს არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის რანგში პირველი ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრება.

აღნიშნული ვიზიტი სალომე ზურაბიშვილმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან ჯეიმს აპატურაიასთან შეხვედრაზე განიხილა.

შეხვედრის შემდეგ ინფორმაცია სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს დაუდასტურა. როგორც ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრებს ნატოსა და ევროკავშირში გამართავს.

გარდაიცვალა ისე, როგორც იცხოვრა



ირაკლი ცისკარიშვილი 100 წლისა

7

მონობა თუ სამსახური?

5

დაგროვებითი პენსია – უპირატესობა და უიმედობა...

ტრაგედია სტრასბურგში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე დატრიალებული ტრაგედიის გამო მწუხარებას გამოთქვამს და ფრანგ ხალხს უსამძიმრებს.

„ღრმად დამწუხრებული ვარ სტრასბურგის საშობაო ბაზრობაზე საშინელი თავდასხმის გამო. ჩვენი ფიქრები მიმართულია ყველა იმ ადამიანისკენ, ვისზეც ეს არაადამიანური ქმედება და შეტევა განხორციელდა. ქართველი ხალხი ამ მძიმე მომენტში ფრანგი ხალხის გვერდით დგას“, – წერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ საკუთარ გვერდზე.

„ჰოლოდომორი“ გენოციდად აღიარეს

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც 1932-1933 წლებში მიმდინარე შიმშილობას, ე.წ. „ჰოლოდომორს“, უკრაინელი ხალხის გენოციდად აღიარებს. ინფორმაცია აშშ-ში უკრაინის საელჩომ გაავრცელა.

რეზოლუციის ტექსტის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ლიდერი იოსებ სტალინი და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა დადანაშაულებულია უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ გენოციდის ორგანიზებაში.

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მიკრობლოგ „ტვიტერის“ მეშვეობით გამოეხმაურა აღნიშნულ რეზოლუციას და მას „ისტორიული გადაწყვეტილება“ უწოდა.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის სენატმა მსგავსი შინაარსის რეზოლუცია ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ოქტომბერში მიიღო.

ცნობილია, რომ რუსეთის ხელისუფლება გმობს „ჰოლოდომორის“ გენოციდთან გაიგივებას.

ჰოლოდომორი – მასობრივი შიმშილობა, რომელმაც 1933 წლის პირველ ნახევარში უკრაინის მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიცვა და დაახლოებით 2,2 მილიონი ადამიანი შეიწირა (ზოგიერთი მონაცემებით 10 მილიონამდე). შიმშილობა გამოწვეული იყო საბჭოთა პოლიტიკით, რომელმაც კერძო მეურნეები იძულებით გააწევრიანა კოლექტიურ მეურნეობებში. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჰოლოდომორი ხელოვნურად იყო გამოწვეული უკრაინული ნაციონალიზმის ჩასახშობად და ამგვარად იურიდიული თვალსაზრისით გენოციდად შეიძლება ჩაითვალოს.

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ჯეიმს აპატურაი: საპრეზიდენტო არჩევნები იყო ღია და სამართლიანი



საპრეზიდენტო **არჩევნების საბოლოო შეფასება იყო პოზიტიური,** — ამის შესახებ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, არჩევნები როგორც ნატოს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ეუთო-ს ჩათვლით, შეფასდა როგორც ღია და სამართლიანი.

„თუმცა არსებობდა გარკვეული კრიტიკა, მაღალი პოლიტიკური რიტორიკის მიმართ და ჩვენ ეს დავინახეთ. არსებობდა მშვიდი პოლიტიკური გარემოს შექმნის მოთხოვნა და ვიმედოვნებთ, მომავალ არჩევნებზე ეს მოხდება, თუმცა საბოლოო შეფასება იყო პოზიტიური“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

ჩვენ გვინდა მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში!

მთავრობასთან და მომავალ ლიდერთან უნდა განვიხილოთ 2019 წლის გეგმები, ჩვენ გვინდა მეტი ნატო საქართველოში და აგრეთვე მეტი საქართველო ნატოში.

„პირველი — დიდი ხანია, არ ვყოფილვარ და ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა საქართველოში სტუმრობა. თუმცა არსებობს სამუშაო მიზეზებიც, რომლებიც უმთავრესია. დიდი მოლოდინით ველოდები მომავალ პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო და თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრას, აგრეთვე ვგეგმავ ოპოზიციასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრას, რათა დღევანდელი საქართველოს სრული სურათი დავინახო. ნატოს სურს არამხოლოდ მთავრობასთან, არამედ ქართველი საზოგადოების ყველა ნაწილთან შეხვედრა. ვიზიტის მესამე მიზეზი კი გარკვეული სამუშაოების ჩატარებას ეხება. ჩვენ ძალიან კარგი 2018 წელი გვქონდა, ბევრი კონკრეტული სამუშაო იქნა დასრულებული, დღესდღეობით ბევრად მეტი ნატოა საქართველოში, მაგრამ ჩვენ გვინდა უფრო მეტი. მთავრობასთან და მომავალ ლიდერთან უნდა განვიხილოთ 2019 წლის გეგმები, ჩვენ გვინდა მეტი ნატო საქართველოში და აგრეთვე მეტი საქართველო ნატოში“.

ვრწმუნდები, რომ სალომე ზურაბიშვილი აღასრულებს ქართველი ხალხის ნებას!

„საერთაშორისო **საზოგადოება მომავალ პრეზიდენტს მრავალი წელია ვიცნობთ, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ჩათვლით. ის არის ლოიალური, დიდი გამოცდილების ქართველი პოლიტიკოსი. მე ვნახე მისი გამოცემები Financial Times-ში, სადაც საუბრობდა საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის მის მიერ გაწეულ უდიდეს ძალისხმევაზე. მოუთმენლად ველოდები ხვალ მასთან შეხვედრას. რაც ჩვენ მის გამოცემაში ვნახეთ და აგრეთვე, რაც მასთან პირად საუბრებში მოვისმინეთ, მარწმუნებს, რომ გააკეთებს იმას, რაც თქვა, აღასრულოს ქართველი ხალხის ნება“,** — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

ბრიუსელში ძალიან კმაყოფილი დავბრუნდები

ძალიან **კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით და მისი გზავნილებით დავბრუნდები ბრიუსელში,** — ამის შესახებ ჯეიმს აპატურაიმ საქართველოს არჩეულ პრეზიდენტთან სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაზე განხილული იყო ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები და პრიორიტეტული თემები, მათ შორის ნატო-საქართველოს ურთიერთობები. მისივე თქმით, ნატო აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას.

მამუკა ბახტაძემ და ჯეიმს აპატურაიმ მიღწეული პროგრესი და ქვეყნის მდგრადი რეფორმების კურსი განიხილეს

პრემიერ-მინისტრ **მამუკა ბახტაძესთან საუბრის მთავარი თემა იყო საქართველო-ნატოს ურთიერთობებში მიღწეული პროგრესი და მდგრადი რეფორმები, რომელიც საქართველოში ხორციელდება.**

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2018 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ნატო-საქართველოს ურთიერთობებში და თვალსაჩინოა ამ მიმართულებით ბოლო წლებში მიღწეული პროგრესი. მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფება მთავრობის მაღალი დონის პრიორიტეტია, რასაც ქართველი ხალხი მხარს უჭერს.

ირაკლი კობახიძე: ინაუგურაციის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით მორატორიუმი აბსოლუტური ფორმით ამოქმედდება

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ბიუროს სხდომაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთა.** კობახიძის თქმით, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, ახალი კონსტიტუციის ამოქმედებისთანავე, სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით მორატორიუმი აბსოლუტური ფორმით ამოქმედდება: **„კვირა დღეს აბსოლუტური ფორმით აღდგება მორატორიუმი გამომდინარე კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან, რომელიც ძალაში შევა სწორედ ინაუგურაციის შემდეგ. აქედან გამომდინარე, დამატებით ამ საკითხის განხილვის საჭიროებას ვერ ვხედავ. რაც შეეხება საზოგადოების ვნებათაღელვას, ამ საკითხის თაობაზე საზოგადოებას თუ მივაწვდით სწორ ინფორმაციას, ამ შემთხვევაში ვნებათაღელვაც არ იქნება. საზოგადოებას უნდა ვუთხრათ, რომ კვირა დღიდან მორატორიუმი აღდგება აბსოლუტური ფორმით, თუ ეს ეცოდინება საზოგადოებას, ამ შემთხვევაში ვნებათაღელვაც არ იქნება“,** — განაცხადა კობახიძემ.

ნეპოტიზმს — არა, პროფესიონალებს — კი!..

იმიტომ **დავუჭირე მხარი საჯარო სამსახურის რეფორმაზე კანონს, რომ საჯარო სამსახური უნდა მოეშვას დემონიზებას,** — ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით განაცხადა.

„საჯარო მოხელე უნდა იყოს პრესტიჟული, ასევე პრესტიჟული და პროგნოზირებადი უნდა იყოს ამ თანამდებობაზე მუშაობა, პროფესიონალებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ შესაბამის გზა. ნეპოტიზმს — არა, პროფესიონალებს — კი. ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო სამსახურის რეფორმა ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს, შესაბამისად, არავითარ ვნებათაღელვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“, — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ცნობისთვის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებაზე გადაყვანას ითვალისწინებს.

ადა მარშანია: ეს გადაწყვეტილება სწორია!

მიმაჩნია, **რომ გადაწყვეტილება პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან თანამშრომლების შესაძლო გათავისუფლებაზე სწორია,** — ამის შესახებ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა ადა მარშანიამ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან თანამშრომლების შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, პრეზიდენტი თავისი აპარატის მიმართულებაში უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, რადგან ისეთი აპარატი ჰყავდეს, რომელიც ეფექტურად იმუშავებს და ვინ თუ არა მან, პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს, რომელი ადამიანი იმუშავებს მასთან.

„პირველ რიგში, ეს კანონპროექტი უნდა განვიხილოთ, ასე ხელაღებით, რომ არ გიპასუხოთ, ჩავიხედოთ კანონპროექტში, განვიხილოთ სერიოზულად და მერე უკვე კვალიფიციურად გაგცემთ პასუხს. ისე ზოგადად, შემიძლია ვთქვა, რომ პრეზიდენტი თავისი აპარატის მიმართულებაში უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი, რადგან ისეთი აპარატი ჰყავდეს, რომელიც ეფექტურად იმუშავებს და ვინ თუ არა მან, პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს, რომელი ადამიანი იმუშავებს მასთან. რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ ამ ადამიანების უფლებების დაცვაზე“, — განაცხადა ადა მარშანიამ.

ცნობისთვის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებაზე გადაყვანას ითვალისწინებს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა ნაცვლიშვილის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები იმას ნიშნავს, რომ თანამშრომლებს, რომლებიც მრავალი წელია, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობენ და უზარმაზარი გამოცდილება გააჩნიათ, აღარ ექნებათ დაცულობის ის გარანტიები, რაც საჯარო მოხელეებს აქვთ და მათ სამსახურიდან ნებისმიერ დროს, კომპენსაციისა და ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვებენ.

„მოდით, საახალწლო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალურ მოძრაობას“

მოდით, **საახალწლო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და განვიხილოთ „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუციის პროექტი,** — განაცხადა „პატრიოტთა ალიანსის“ დეპუტატმა ადა მარშანიამ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე.

„ვნახე და მიხარია, რომ ჩვენი ანტინაციისტური რეზოლუციის პროექტი დღის წესრიგში შესულია, მაგრამ 45-ე ნომრად. მოდით, საახალწლო სიურპრიზი გავუკეთოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და, ბოლოს და ბოლოს, განვიხილოთ ეს რეზოლუციის პროექტი, საახალწლო რეზოლუცია ან ვცნოთ, რომ ეს მართლა კრიმინალური რეჟიმი იყო ან გააგრძელეთ მაშინ მათთან თანამშრომლობა. გადავწიოთ უფრო წინ, ახალ წლამდე განვიხილოთ და მივიღოთ“, — განაცხადა ადა მარშანიამ. „პატრიოტებმა“ „სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ“ რეზოლუციის პროექტი რამდენიმე თვის წინათ მოამზადა.

ირმა ინაშვილი:

მართლა დაგილოცავთ თავ-ყბას

საქართველოს **პარლამენტში მიმდინარე სესიაზე დაპირისპირება მოხდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნიკა მელიას სიტყვით გამოსვლის შემდეგ დარბაზში ხმაური იყო.**

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა ნიკა მელიას მიმართა და უთხრა, რომ ხმა ჩაეკმინდა და ჩუმად მჯდარიყო. ამის შემდეგ ინაშვილი მელიას სავარძელთან მივიდა და მას ფურცლები შეაყარა.

„ერთხელ მართლა დაგილეწავთ თავ-ყბას“, — მიმართა ინაშვილმა მელიას, რის შემდეგაც დეპუტატები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. დაპირისპირებაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა პაპუაშვილიც ჩაერთო.

მანდატურის თანამშრომლებმა ნიკა მელია დარბაზიდან გაიყვანეს, მას ირმა ინაშვილი თან გაჰყვა.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ნიკა მელია „კონცერტის მოწყობაში“ დაადანაშაულა, სარკეში ჩახედვა ურჩია და უთხრა, რომ რაც პარლამენტში მოხდა, მისი ბრალი იყო.

* * *

მარცხსაც სჭირდება ღირსეულად შეხვედრა, თქვენ ხართ უღირსი დამარცხებული, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ნიკა მელიას გამოსვლას პლენარულ სხდომაზე.

„ბატონო ნიკა, თქვენი გამოსვლა იყო სავსე შეურაცხყოფით, ცილისწამებით. მოგიწოდებთ, სარკეში ჩაიხედოთ და დაინახავთ თქვენს დამარცხებულ სახეს, დაკარგულ სახეს. არ შეიძლება, მარცხმა ასე დაგაკარგვინოთ სახე. სირცხვილია. მარცხსაც სჭირდება ღირსეულად შეხვედრა. თქვენ ხართ უღირსი დამარცხებული“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, მმართველი გუნდი გამარჯვებას ღირსეულად შეხვდა და ისტერიკა, რომელიც ოპოზიციაში ჩანს, აჩვენებს, რომ ოპოზიცია საკუთარ მარცხს უღირსად შეხვდა.

* * *

ამ ადამიანებს დავარქვათ დანაშაულებრივი რეჟიმი და დასრულდება ეს ფარული სამოქალაქო ომი.

თქვენი გამკვირვებია, რა გახდა, ამ ადამიანებს ერთხელ და სამუდამოდ დავარქვათ ის, რაც ჰქვიათ, დანაშაულებრივი რეჟიმი და დასრულდება ის ფარული სამოქალაქო ომი, რომელიც მიმდინარეობს — ამ განცხადებით, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა, „ქართული ოცნების“ ლიდერებს მიმართა.

რა გინდათ, გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ?

რა გინდათ, გამოგიყვანოთ, გაგანგრიოთ და მოგკლათ? — ამ განცხადებით, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა ოპოზიციის ლიდერებს მიმართა.

პარლამენტში, სესიაზე ვითარება ცოტა ხნის წინათ დაიძაბა. „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი და მმართველი გუნდის წევრი ზაზა პაპუაშვილი ენმ-ს წევრ ნიკა მელიას ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ინაშვილმა მელიას სახეში ფურცლები შეაყარა, ზაზა პაპუაშვილმა კი ხელი დაარტყა. ვითარება მანდატურმა განმუხტა და სესიაზე შესვენება გამოცხადდა.

განცხადება კი პაპუაშვილმა სხდომის განახლების შემდეგ გააკეთა და ფიზიკური დაპირისპირების მიზეზებზე ისაუბრა.

პაპუაშვილი ამბობს, რომ ვითარების პროვოცირება ოპოზიციამ მოახდინა. მან გიგა ბოკერიასაც მიმართა და „ყეფა უწოდა“.

თბილისის წლევანდელი საახალწლო სლოგანია „სიყვარულით სავსე ქალაქი“!

ამის **შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

მისი თქმით, სამწუხაროდ, დღეს ქალაქში ნათლად იგრძნობა სიყვარულის ნაკლებობა, რომელიც ყველა დიდი საქმის კეთების დროს მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორია.

„ბოლო თვეების განმავლობაში, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მოსახლეობის მხარდაჭერა და თანადგომა გვაძლევს კიდევ უფრო მეტ სტიმულს, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ, მეტი პროექტი განვახორციელოთ. საზოგადოების გარეშე, მხოლოდ მერია და მერიის თანამშრომლები ვერაფერს გააკეთებენ. ვფიქრობ, უმთავრესი მაინც არის ის, რისი ნაკლებობაც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ქალაქში ნათლად იგრძნობა; ის, რაც არის მთავარი მამოძრავებელი ძალა და მოტივატორი ყველა კარგი და დიდი საქმის კეთების დროს — ეს არის სიყვარული.

უფრო მეტი სიყვარული გვმართებს ერთმანეთის, უბნის, ქალაქის, მოხუცების, ახალგაზრდების, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების, ქუჩის ბინადარი ცხოველების მიმართ; მეტი პატივისცემა გვმართებს, როგორც ჩვენი დიდი მემკვიდრეობის, ისე სიახლეებისადმი. ვისურვებდი, სწორედ სიყვარული იყოს ყოველი ახალი წამოწყების საფუძველი. არა ბოღმით, ერთმანეთის ლანძღვით და ქილიკით, არამედ სიყვარულით ვაკეთოთ საქმე და ასე ვემსახუროთ ჩვენს ქალაქს, მოსახლეობას და სამშობლოს. სწორედ ამიტომ, ჩვენი წლევანდელი საახალწლო სლოგანი იქნება — „სიყვარულით სავსე ქალაქი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, არავის სიამოვნებს ის გარემო და მდგომარეობა, რომელშიც დღეს საზოგადოება იმყოფება.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება, ეს არის ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთისადმი სიყვარული. დაიღალა საზოგადოება ამდენი სიძულვილით, ბოღმით, შეურაცხყოფით ერთმანეთის მიმართ. მესმის, რომ შეიძლება გვქონდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა იყოს ცივილური — უნდა იყოს პოლემიკა, დებატები და არა ისე, რაც დღეს ხდება. ეს კატეგორიულად მიუღებელია ყველასთვის. არავის სიამოვნებს ის გარემო და მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფებით“, — განაცხადა კახა კალაძემ. ამასთან, თბილისის მერმა დედაქალაქში დაგეგმილ საახალწლო ღონისძიებებზეც ისაუბრა. მისივე თქმით, ნაძვის ხის განთავსებასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

თბილისის მთავრობა ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებულ მოსახლეობას პრობლემას მოუგვარებს

დედაქალაქის **მერი კახა კალაძე სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს მოუწოდებს, ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებული მოსახლეობისთვის გადასაცემ ფართებთან დაკავშირებით, საკუთარი წინადადებები წარმოადგინონ.**

როგორც მან მუნიციპალიტეტის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, დაზარალებულთა დაკმაყოფილებისთვის საწყის ეტაპზე, რამდენიმე მიწის ნაკვეთი უკვე გამოიყო.

„ბინათმშენებლობების კოოპერატივებით დაზარალებულთა ფართებით დაკმაყოფილება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნული პრობლემა 3000-ზე მეტ ოჯახს 90-იანი წლებიდან აწუხებს. ჩემი წინასაარჩევნო დაპირებაც იყო, რომ ამ პრობლემის მოგვარებას დავიწყებდით. კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჩვენ ვიქნებით ქალაქის ის მთავრობა, რომელიც ამ ადამიანებს აღნიშნულ პრობლემას მოუგვარებს და მათი ბინებით უზრუნველყოფა მოხდება. უკვე შევარჩიეთ კონკრეტული არეალები, სადაც შესაძლებელი იყო მშენებლობების განხორციელება. გამოცხადებული გვქონდა ინტერესთა გამოხატვა, თუმცა სამწუხაროდ, არც ერთი დაინტერესებული კომპანია არ აღმოჩნდა, ვინც ამ პროექტებს განახორციელებდა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერია დაინტერესებულ პირებთან და სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობისთვის მზადაა.

„მესმის სამშენებლო კომპანიების, რადგან ყველას საკუთარი ბიზნესმოდელი აქვს, თუმცა ჩვენ მიდგომა შევცვალეთ. აღნიშნული პროექტებით ძალიან ბევრი სამშენებლო კომპანიაა დაინტერესებული, ისინი დაზარალებულ მოქალაქეებთან ერთად მოდიან და მერიას სხვადასხვა წინადადებას სთავაზობენ. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის. მინდა, მივმართო სამშენებლო კომპანიებს, აღნიშნულ მიწებზე საკუთარი წინადადებები წარმოადგინონ. გვინდა, მათი წინადადებები მერიის ვებგვერდზე განვათავსოთ, სადაც მათი ნახვის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ მხარესა და კომპანიას ექნება. გამარჯვებულად კი ჩაითვლება ის, რომელიც დედაქალაქის მერიას მეტ ფართს შესთავაზებს, რათა საცხოვრებლით რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაკმაყოფილდეს“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

თბილისში ხმაურის კონტროლი მკაცრდება

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას დაავალა, ტურისტულ ზონებში ხმაურის კონტროლი მაქსიმალურად გამკაცრდეს.

„სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, სერიოზული პრობლემები გვაქვს. თბილისში ეს რეგულაცია დაცული არ არის. ტურისტულ არეალებში საკმაოდ კრიტიკული მდგომარეობაა. განსაკუთრებით შეწუხებულია კალაუბნის მოსახლეობა, ასევე, სერიოზულად ზარალდება ამ უბნებში განთავსებული სასტუმროები. მინდა, მუნიციპალურ ინსპექციას მივმართო — ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ეს ყველაფერი მოწესრიგდეს და დარეგულირდეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არავის ვერჩით — კაფეც უნდა იყოს, ბარიც, დისკო-კლუბებიც, მაგრამ ის მიდგომა, რაც ამ კონკრეტულ ლოკაციებზე ხდება, მიუღებელია. გამოდგმული აქვთ დინამიკები გარეთ, ცდილობენ ერთმანეთის გადაფარვას და სრული ქაოსია. მსგავსი დამოკიდებულება არც ერთ განვითარებულ ქალაქში არ არის. ამიტომ, ჩემი დავალებაა, რომ აღნიშნული პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

№ 252. ხუთშაბათი, 13 დეკემბერი, 2018 წელი.

პოლიტიკური ველი ნაცებისგან უნდა გაიწმინდოს!

1993 წელს დავწერე ოცგვერდიანი სტატია (რა გადაარჩენს ქართველ ერს) და შევინახე. ნათესავებს დავუბარე, რომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ამოეღოთ ხსენებული სტატია და გაესაჯაროებინათ. ისმის კითხვა, რატომ ვინახავ ამ სტატიას? ჩემი აზრით, საქართველოში არის ადამიანთა კატეგორია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები. ამგვარივე ელემენტები არსებობს თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს კატეგორია ადამიანებისა ერწყმიან ეროვნულ ორგანიზმს და ერთ ერად იქცევიან, იმედი მქონდა, საქართველოშიც ასე მოხდებოდა, ამიტომ მათი გამოაშკარავებისგან თავს ვიკავებდი და ჯერჯერობითაც ასეა. თუმცა ეს პროცესი საქართველოში იგვიანებს, გაძნელებულიც არის, ვინაიდან ქართველი ერი მცირერიცხოვანია, ამიტომ თუ მასში იარსებებს დაახლოებით 200 ან 300 ათასი ანტისახელმწიფოებრივი ელემენტი, ამ ოდენობის მასის შესრუტვა, შერწყმა, ძირითად ერთან ასიმილაცია ყოვნდება. ამ დაყოვნებით შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ხსენებულმა ელემენტებმა დიდი ზიანი მიაყენოს ქართველ ერს. ამგვარი უარყოფითი შედეგი რომ არ მივიღოთ, საჭიროა მათი ნეიტრალიზაცია. სხვათა შორის, ნოე ჟორდანიაც მიანიშნებდა ჩემ მიერ ხსენებულ ადამიანებზე. იგი დაახლოებით ასე ამბობდა: „ჩვენ ტერიტორიის გაფართოებას კი არ უნდა ვესწრაფოდეთ, არამედ ადამიანებში ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას. **შეიძლება ტერიტორიები გაიფართოოს ამა თუ იმ ერმა, მაგრამ იქ დასახლებული ხალხი უცხო სხეული აღმოჩნდეს ერის ორგანიზმში“.**

საერთოდ, კი – ქართველ ერში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ერთ ერად ჩამოყალიბების პროცესი, რაც ხელს უშლის ხალხის საერთო ,,ნიადაგზე“ დგომას.

ავანტიურისტები, ხელმოცარულები, სახელს დახარბებულები, უმეცარი ადამიანები, რომელთაც სურთ უშრომელი ლუკმის მოპოვება, თანამდებობა და სახელი, სწორედ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებში პოულობენ დასაყრდენს, ვინაიდან ეს ადამიანები ყოველნაირად ცდილობენ ქართველი ერის დასუსტებას. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ სააკაშვილი, ბოკერია, ბაქრაძე, მელია, უგულავა, ბურჯანაძე, უსუფაშვილი, სანიკიძე, ნათელაშვილი და სხვები, რა თქმა უნდა, არ არიან ანტისახელმწიფოებრივი ელემენტები, თუმცა ისინი მხარდამჭერებს ვერ პოულობენ ჭეშმარიტ ქართველებში, საღად მოაზროვნე ადამიანებში და ჩვეულებისამებრ მიმართავენ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს.

ზემოხსენებულ სამას ათას ადამიანს შეუძლია გარკვეული ოდენობის გულუბრყვილო ადამიანის მიმხრობა. საბოლოო ჯამში მივიღებთ დაახლოებით 600 ათას ამომრჩეველს, რაც ყოველთვის ჰყავს ეგრეთ წოდებულ ნაცებს.

ვინაიდან ამ კატეგორიის ლიდერებს დღენიადაგ ამუნათებს ქართველი ხალხი, ლიდერებიც, ჩვეულებისამებრ, ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებად იქცნენ.

შეიძლება მკითხველმა ჩემზე იფიქროს, საიდან მოაქვს ასეთი ციფრები ან დაბეჯითებით რის საფუძველზე ასახელებს ამ კატეგორიის ადამიანებსო?...

კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საქართველოში არსებობს ამ ყაიდის ადამიანები, თანაც საკმაო ოდენობისა! ციფრები კი მომყავს მსჯელობის გასამარტივებლად და ფაქტის ნათელსაყოფად, რასაკვირველია, ადამიანები უნდა გამოვააშკარაოთ, მაგრამ არ შეიძლება მათი არსის გამოწვლილვით დასახელება, ვინაიდან ამ ანალიზის შედეგად შეიძლება მოხდეს ეროვნული საიდუმლოების გამხელა.

სწორედ ზემოთ ფიგურირებული ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების აღზევება მოხდა ახლახან ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს მათი უკანასკნელი გაფართხალება იყო.

რასაკვირველია, მათ ნეიტრალიზაციას არ უნდა მოჰყვეს რაიმე ზიანი; ყველაფერი უნდა განხორციელდეს ფრთხილად და მიზანდასახულად.

ამჟამად ქართველი ერის უპირველესი ამოცანა არის სააკაშვილის რეჟიმის ამოძირკვა. რატომ აქვს ქართულ ,,ნიადაგში“ ასე ძლიერად ფესვები გადგმული ნაცებს? აშკარაა: დასავლეთი ევროპა, აშშ მოწადინებული არიან, თავანთი გამოზრდილი ყურმოჭრილი მარიონეტები კვლავ დააბრუნონ ხელისუფლებაში. ამისთვის ყოველ ღონეს, ხერხს თუ მეთოდს მიმართავენ. ჯერ იყო და მსჯავრდებული სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ევროპის ქვეყნებმა და აშშ-მა შეიფარეს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ეს უმეცრები და კრიმინალები უკრაინაში დასასაქმეს. თუმცა უკრაინელმა ხალხმა დიდხანს ვერ იგუა ნაძირალები და ქვეყნიდან გამოაძევა, დასავლეთს იმედად კვლავ საქართველო დარჩა.

მრავალმხრივ შევხედოთ მოვლენებს და იქიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ყველა იმას გაიძახის, კოჰაბიტაცია „ოცნებამ“ განახორციელაო, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. კოჰაბიტაცია ხელისუფლებას დასავლეთმა ძალდატანებით თავს მოახვია. **ალბათ გვახსოვს ბატონი ბიძინას საჯარო განაცხადი: სააკაშვილთან მუშაობა შეუძლებელია! სწორედ ამას მოჰყვა დასავლეთის განრისხება და ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია.** ამ მძიმე ვითარების დროს ქართველი ხალხი მასობრივად უნდა გამოსულიყო ქუჩაში და ივანიშვილის საჯარო განაცხადი დაეცვა.

ასეთ ვითარებაშიც კი ხელისუფლებამ მოახერხა ნაცების მთავრობის წარმომადგენლების დასჯა, ზოგმა მათგანმა საზღვარგარეთ გაქცევა მოასწრო. მე არ მახსოვს მთავრობის ამგვარი მასობრივი დასჯა, რასაკვირველია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰიტლერული მთავრობის წევრთა საჯარო ჩამოხრჩობას. არც ის არის სწორი, „ოცნების“ ზოგი მხარდამჭერი პარტია საჯაროდ რომ აცხადებს, თითქოს ეკონომიკამ სტაგნაცია განიცადა. მიუკერძოებელი ადამიანი ნათლად შეამჩნევს ცხოვრების დონის გარკვეულ ამაღლებას, მაგრამ მაინც ამაღლებას. ნაცვლად იმისა, რასაც აცხადებენ ნაცები – ეკონომიკის ნგრევა მოხდაო.

როგორი უცხვირპირო, უსირცხვილო, ნამუსგარეცხილი, დახშული უნდა იყოს ადამიანი, რომელიც განაცხადებს: სააკაშვილს ცხინვალი არ დაუბომბავსო.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ დაახლოებით ოცამდე სტატია გამოვაქვეყნე. ომთან დაკავშირებული ყველა მოვლენა განხილული მაქვს სამხედრო, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. ხსენებული სტატიების უმრავლესობა დაბეჭდილია გაზეთებში. გაგახსენებთ ერთ მონაკვეთს:

„თუ ჩვენ სააკაშვილს და მის თანამოსაქმეებს დავადანაშაულებთ ომის დაწყებაში, ქართული ტერიტორიის ნაწილის დაკარგვაში, აგრეთვე ამ ომში ქართველი კაცის შერცხვენაში და ამ დანაშაულს შესატყვისი არგუმენტებით დავამტკიცებთ, დასავლეთიც ვერაფერს იტყვის, ხელს აიღებს ამ ნაძირალებზე და საქართველოში იმ პარტიასთან ითანამშრომლებს, რომელსაც ქართველი ხალხი აირჩევს.

ყოველთვის მაოცებს ის გარემოება, რომ საქართველოში მომხდარი მოვლენების გარკვევას დასავლელი ანალიტიკოსებისგან მოველით. ჩვენთან მომხდარი მოვლენების გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ანალიტიკოსს შეუძლია.

2008 წლისთვის პროტესტის ტალღამ პიკს მიაღწია. ოპოზიციამ მთლიანად მოშალა საპარლამენტო მუშაობა, კარვების ტყე დასცა რუსთაველის პროსპექტზე და იგი მთლიანად აკონტროლებდა დედაქალაქის ცენტრს. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ სახელმწიფოში მთავრობა გადაგებოდა, მაგრამ სააკაშვილის მთავრობას მხარში ედგნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და აშშ. მათ არ სურდათ გამოზრდილი მარიონეტების ხელიდან გაშვება; მათ აღზრდას ხომ მილიარდობით დოლარი დასჭირდა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილს ძლიერ აშინებდა შემოდგომით ოპოზიციის აღმავლობა და გამოსავალს ვერ პოულობდა. ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრა – რაც უნდა დასჯდომოდა, სამაჩაბლო დაებრუნებინა. ამით ხალხის გულს მოიგებდა და პოსტსაც შეინარჩუნებდა. დაბრუნება კი ომის მეშვეობით უნდა განეხორციელებინა. ომი ოსებთან რუსებთან ომს ნიშნავდა. ასეთ სიტუაციაში კი გამოსავალი არ სჩანდა. მაგრამ სააკაშვილი მაინც რისკზე წავიდა. ომის დასაწყისში ხბოსავით აღტკინებულმა სააკაშვილმა ქვეყანას ამცნო მისი აზრით სასიხარულო ამბავი: სამაჩაბლოს უმეტეს ნაწილს ქართველი სამხედროები აკონტროლებენ, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა ის, რომ ამ კონფლიქტში რუსეთი ნეიტრალიტეტს იჭერს. გაუშვით შესაბამისი ტელეფირები და ჩემს ნათქვამში დარწმუნდებით. რასაკვირველია, ცალკეული რუსი სამხედროების ქმედების შესახებ კრემლმა არაფერი იცოდა და, ცხინვალის დაბომბვის გამო, გაეროში სათანადო განცხადებების გაკეთების შემდეგ რუსეთის 58-ე არმია ცხინვალისკენ დაიძრა.

ომის დასაწყისშივე მედვედევმა განაცხადა: ჩვენ ვათავისუფლებთ ცხინვალსა და მის შემოგარენს ქართული ჯარისაგან. რუსებს არც უფიქრიათ თბილისში შემოსვლა, ვინაიდან: დარწმუნებულნი იყვნენ, ქართველი ხალხი ამ ომის შემდეგ ერთი დღითაც კი არ დატოვებდა ხელისუფლებაში სააკაშვილს და მის თანამზრახველებს. მეორე მხრივ, მათ არ უნდოდათ გაეფანტათ პოლიტიკური ქულები, რაც მოიპოვეს აშშ-ის ჯარების ერაყში შეჭრის შემდეგ. კრემლი სულ იმას გაიძახოდა – ამერიკელებმა გაუგონარი სიმხეცე ჩაიდინეს ერაყშიო. თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლა ხომ განმეორება იქნებოდა ერაყში ამერიკელების ქმედებისა.

მაგრამ მოხდა გაუგონარი სასწაული – ქართველმა ხალხმა ერის ეს დამაქცევარი არ გადაყენა და შედეგად ახალგორის რაიონიც დავკარგეთ და მივიღეთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართველი ხალხისთვის სირცხვილით თავის მოჭრას ნიშნავს ის, რომ სამხედრო საქმის სრულიად უმეცარი ბიჭი, სამხედრო მინისტრი კეზერაშვილი, ომის მსვლელობისას ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ დაძრწოდა, სააკაშვილი გორის შემოგარენში მიწაზე ფორთხავდა, ხოლო ჯარს მობილური ტელეფონით „ხელმძღვანელობდა“ რიგითი უგულავა. ამბობენ, ომი დღე-ნახევარი გაგრძელდაო. არავითარი სერიოზული ბრძოლა არ გამართულა. უმეთაუროდ დარჩენილი ქართული ჯარი ტყე-ტყე გამორბოდა თავის გადასარჩენად. აი, ასეთ სამარცხვინო დღეში ჩააყენეს ოდესღაც სიმამაცით განთქმული ქართველი კაცი სააკაშვილმა, უგულავამ, კეზერაშვილმა, ბოკერიამ, ბაქრაძემ და სხვა ნაცებმა... ამჟამად ყველა ესენი, უსირცხვილოდ ბედავენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. თუმცა რატომაც არა – მათ ხომ გააბრიყვეს საქართველოს მოქალაქეების გარკვეული ნაწილი და ამჟამადაც მხარს უჭერს საპაკისტებს. მაგრამ დარწმუნებული ვართ, სააკაშვილის რეჟიმის ფესვები მალე ამოიძირკვება და ნაცების მიერ გაბრიყვებული ინდივიდები ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ამიტომ, სანამ დროა, გონს მოდით, გაბრიყვებულებო!“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 2017 წ. 21 ივნ.).

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: საქართველოში არ არსებობს გაზეთი, რომელიც მთლიანად დაკავებული იქნება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაშუქებით და პოლიტიკური თეორიების ანალიზით. რასაკვირველია, ამ კატეგორიის გაზეთს უნდა უხელმძღვანელოს თეორეტიკოსმა და არა ჟურნალისტმა. გაზეთი უნდა მოემსახუროს ჭეშმარიტების გაცნობიერების საქმეს და არა ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების პროპაგანდას.

მართალია, ,,საქართველოს რესპუბლიკა“ სისტემატურად ბეჭდავს საინტერესო სტატიებს, სადაც სწორად არის დანახული რეალობა და შესაბამისად სწორი დასკვნებიც არის გამოტანილი, მაგრამ მოზღვავებულ თემებს ერთი გაზეთი მაინც ვერ აუვა. თანაც გაზეთი, როგორც ასეთი, თავის ფუნქციას ასრულებს – თავის ფურცლებს ყველა თემას უთმობს, ამიტომ საჭიროა, ასე ვთქვათ, სპეციფიკური გაზეთის გამოშვება.

ერთიც უნდა შევნიშნო. როცა გვსურს, ქართველი ხალხისთვის შესატყვისი იდეების პროპაგანდა გავწიოთ, საჭირო არაა, ამ ეტაპზე მაინც, რომელიმე პარტიის პროგრამის კრიტიკა. ასე მაგალითად, მართალია, „ოცნება“ პროგრესულია ნაცებთან შედარებით, მაგრამ მასაც უამრავი შეცდომა მოსდის, რამაც ხალხი მეტისმეტად განარისხა. ადამიანის ფსიქოლოგია ასეთია: თუ „ოცნებამ“ ბევრი შეცდომა დაუშვა, ვერ გაამართლა ხალხის იმედები, მაშინ რა მოხდება, თუ ერთხელ კიდევ მოვსინჯავთ და ნაცებს მივცემთ ხმას.

თეორეტიკოსმა, ექსპერტმა, პოლიტოლოგმა, თუნდაც პოლიტიკურმა ლიდერმა ყველა ასპექტი უნდა გაითვალისწინოს – ფსიქოლოგიური, მეცნიერული, ფილოსოფიური, გნებავთ, სამყაროსეული ფაქტორები. ეს ძალზე ძნელი საქმეა. ამ თვისებებით დაჯილდოებულნი ის ადამიანები არიან, რომელთაც ღრმად აქვთ შეგნებული პატიოსნების ფასი, პატრიოტიზმი და ცოდნა შეძენილი აქვთ უმეტესწილად თვითცნობიერების მეშვეობით. პოლიტიკა ბერძნული სიტყვისგან მომდინარეობს და ნიშნავს: პოლი – მრავალი, ტიკა – მცოდნეობა. ძველი ბერძნები იმ ადამიანებს უწოდებდნენ პოლიტიკოსს, რომლებიც მრავალისმცოდნეობას ამჟღავნებდნენ. ჩვენთან კი ყველა ხელმოცარული პოლიტიკისკენ მიეშურება.

მძაფრ კრიტიკას იმსახურებენ ქართველი მეცნირები. აქამდე არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია ნაცების, საერთოდ, გაუკულმართებული ქცევის საწინააღმდეგოდ, მათგან ხშირად მომისმენია.. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო. ერის ძნელბედობის ჟამს ჭკვიანი ადამიანები თუ არ ჩაებნენ პოლიტიკაში, ჩვეულებისამებრ უგუნურები დაიკავებენ ცარიელ ადგილს, როგორც ეს მოხდა ნაცების შემთხვევაში. ერთი ფაქტი უნდა ვამცნო ფართო საზოგადოებრიობას: საბჭოთა კავშირში პოლიტპატიმართა 75% ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ვიყავით. აკადემიკოსების – სახაროვის, ორლოვის, კოვალიოვის და სხვა მეცნიერთა დისიდენტური მოღვაწეობა ყოველთვის ცნობილია.

მაშ ასე: ერთი რაუნდი მოვიგეთ - საქართველოს პრეზიდენტად არჩეულია ქალბატონი სალომე, მეორე რაუნდში კი პოლიტიკური სარბიელი ნაცებისგან გასაწმენდი გვაქვს. ჯერი ქართველ ხალხზეა!

ვაჟა ჟღენტი

მომსახურების სფეროში ადამიანები ისევ იჩაგრებიან!!!

სუპერმარკეტები არ არის ერთადერთი ადგილი საქართველოში, სადაც ასობით დასაქმებული ადამიანის შრომითი უფლებები ირღვევა. 2017 წელს მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების გაუსაძლისი შრომითი პირობების შესახებ რამდენიმე ანგარიში გამოქვეყნდა – სურათი მძიმე იყო მაშინ და უცვლელია დღემდე.

ღირსებაშელახული დასაქმებულები დღეს უკვე ღიად წერენ სოციალურ ქსელებში იმაზე, რომ დამსაქმებლები მუდმივად უგვიანებდნენ ხელფასებს, რომ კვირაში, კანონით დაწესებული 40 ნაცვლად, ხშირად ორჯერ მეტს მუშაობდნენ და ამაში მიზერულ ხელფასს იღებდნენ, რომ ხანდახან სამუშაო დრო დღეში 14 საათს სცდებოდა, რომ 10 საათი ფეხზე დგომა უწევდათ, ხოლო თუ მაღაზიაში რამე დაიკარგებოდა, თვის ბოლოს ხელფასებს მათ აჭრიდნენ და ასე სთხოვდნენ პასუხს. რაც მთავარია, ყველა წერს და პირად საუბარშიც შენიშნავს, რომ მათ მონებივით ექცეოდნენ. თუმცა, როგორც ირკვევა, ეს არ არის მხოლოდ სუპერმარკეტების თანამშრომელთა პრობლემა. ღირსებაშელახული ადამიანები ღიად ასახელებენ იმ კომპანიებს, სადაც მათი შრომა დაფასებული არ არის.

„თუ არ გინდა, წადი“

„ერთი ძალიან სამარცხვინო ამბავი უნდა დავწერო. კომპანია DOTS-იდან მეორე თვეა, რაც წამოვედი. ამ კომპანიაში ასევე მუშაობდა ჩემი მეგობარი, რომელსაც მთელი რიგი პრობლემების გამო მოუხდა წამოსვლა. კომპანიას უთხრა, რომ 1 კვირა დარჩებოდა, რომ თვე მთლიანად ჩაემთავრებინა და სხვებს ასწავლიდა პროგრამას, რომ უპასუხისმგებლოდ არ წამოსულიყო... კომპანიამ, რომელიც დაპირებული 2 % ბონუსის ნაცვლად ბევრად ნაკლებს ურიცხავს თანამშრომლებს, საერთოდ არ ჩაურიცხა არათუ ბონუსი, არც მოჭრილი ხელფასი. მაგრამ რა უნდა გაგიკვირდეს იქ, სადაც არც ერთ დასვენებაზე არ გასვენებენ და თვითონ გიწყვეტენ, შვებულებაში რამდენი ხნით და როდის უნდა გახვიდე... ჰოდა,

ეს სტატუსი კომპანია DOTs-ის ყოფილმა თანამშრომელმა გიორგი ჩემინავამ საკუთარი ფეისბუქის გვერდზე, დაახლოებით, ათი დღის წინ გამოაქვეყნა – ის ასე გამოექომაგა მეგობარს ქსენია ფაიქიძეს, რომელიც ამავე კომპანიაში მენეჯერ-კონსულტანტად მუშაობდა. რადიო თავისუფლებას გიორგიმ უთხრა, რომ ყოფილ სამუშაო ადგილზე შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს ყურადღებას არ აქცევდნენ – მენეჯმენტი თავად წყვეტდა თანამშრომლების შვებულების დროს და ხანგრძლივობას, ზეგანაკვეთურ შრომას არ ანაზღაურებდნენ:

„ყველაზე აუტანელი მაინც თანამშრომლების მიმართ მიდგომა იყო. თუ პრეტენზიას გამოთქვამდი, ერთი პასუხი ჰქონდათ: „თუ არ გინდა, წადი“.

ქსენია ფაიქიძისა და კომპანიის ურთიერთობა ჯერაც არ მოგვარებულა. ქართული ტანსაცმლის ბრენდს მისთვის ბოლო თვის ხელფასი ამ დრომდე არ ჩაურიცხავს. საქმე, შესაძლოა, სასამართლომდეც მივიდეს. ქსენია იხსენებს, რომ არასოდეს სრულდებოდა მათ ხელშეკრულებაში ჩაწერილი პირობა, რომ თვეში 192 საათი უნდა ემუშავათ. თვის ბოლოს, როგორც წესი, 216 საათი გამოსდიოდათ. ამბობს, რომ არც ბონუსით გათვალისწინებული თანხა ემატებოდა ზუსტად მის ხელფასს. ყოველთვის იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე ელოდა.

DOTs-ში ყოფილი თანამშრომლების პრეტენზიებს არ იზიარებენ. ქსენიას თაობაზე გვითხრეს, რომ მან სამი დღით ადრე აცნობა კომპანიას წასვლის შესახებ გადაწყვეტილება: **„ეს არც შრომის კოდექსით არის გათვალისწინებული და არც მისი შემცვლელი გვყავდა მოძებნილი“,** – უთხრა რადიო თავისუფლებას DOTs-ის ერთ-ერთი მაღაზიის მენეჯერმა ნინო სიმონიშვილმა. მისივე თქმით, კომპანიის თანამშრომლები მუშაობენ დღეში 9 საათის განმავლობაში, აქვთ ერთსაათიანი შესვენება და კვირაში დასვენების ერთი დღე. კონსულტანტის ხელფასი 500 ლარია, რასაც ნავაჭრის პროცენტი ემატება.

„60 საათი კვირაში – 400 ლარად“

გვანცა ბერაძე პირველკურსელი იყო, როდესაც თბილისის ერთ-ერთ ჰიპერმარკეტში დაიწყო მუშაობა. ამჯერად მას არ სურს ამ მაღაზიათა ქსელის სახელის დასახელება. შეთანხმების თანახმად, კვირაში 6 დღე უნდა ემუშავა, დღეში – რვა საათი, თუმცა სამუშაო დრო ხშირად გვიან ღამემდე გრძელდებოდა, რაშიც დამატებით არავინ არაფერს უხდიდა. კვირაში 60 საათს მუშაობდა. ხელშეკრულებაზე კონსულტანტების აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი მოწერილი არ ჰქონდა.

გვანცა ამბობს, რომ ასეთ სამსახურზე ძირითადად 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდები თანხმდებიან: **„ვისაც ან ფინანსური პრობლემა აქვს, ან ისეთი სამსახურის დაწყება სურს, სადაც არ სთხოვენ გამოცდილებას და დიპლომებს“.**

გვანცას 400 ლარს უხდიდნენ. ერთი წელი გაუძლო. მთავარი მიზეზი, რის გამოც წამოვიდა, იყო სამუშაოსთან შეუსაბამო ხელფასი, არაანაზღაურებადი ზეგანაკვეთური შრომა და მძიმე ტვირთის აწევა, რაც საკმაოდ ხშირად უწევდა.

გვანცას მსგავსი არაერთი ამბავი მოხვდა გაერთიანებული პროფკავშირების გამოკვლევაში 2017 წელსაც. მაშინ ამ გამოკვლევის მონაწილე რესპონდენტები მუშაობდნენ ისეთ სუპერმარკეტებში, როგორებიცაა: „ნიკორა“, „ორი ნაბიჯი“, „ფრესკო“, კარფური“, „ვეჯინი“, „ევროპროდუქტი“ და „სპარი“. ამ გამოკვლევაში მონაწილე რესპონდენტების 24.0 %-ს მუდმივად უწევდა თავის ძირითად საქმესთან ერთად დამატებითი სამუშაოს შესრულება, 39.5 %-ს იშვიათად, თუმცა მაინც უწევდა თავის ძირითად საქმესთან ერთად დამატებითი სამუშაოს შესრულება. ამავე გამოკვლევის თანახმად, რესპონდენტთა 33.5 %-ს ხელფასი უკავდებოდა – ეს მაშინ, როდესაც სუპერმარკეტებში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, დაახლოებით, 362 ლარი იყო, ხოლო დაკავებული ხელფასის რაოდენობა საშუალოდ – 122 ლარი.

ერთი წლის წინ სამუშაო პირობებზე კომენტარისგან თითქმის ყველა სუპერმარკეტმა თავი შეიკავა. ერთი წლის შემდეგ ჩვენ ისევ ვცადეთ რამდენიმე სუპერმარკეტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება და პასუხის მიღება შეკითხვაზე, შეიცვალა თუ არა რამე მათ ქსელში. პასუხი ამ დრომდე არ გვაქვს.

სასიკეთო ცვლილებებზე ვკითხეთ პროფკავშირების ახალგაზრდული მოძრაობის ხელმძღვანელს გიგა ბექაურსაც. დამაიმედებელი პასუხი არ მიგვიღია:

„მომსახურების სფეროში დღესაც აბსოლუტურად იგივე პრობლემებია. ერთადერთი, დამსაქმებლები შედარებით ფრთხილად არიან და ცდილობენ, არ გააღიზიანონ დასაქმებულები. ესეც იმიტომ, რომ თავიდან აიცილონ ისეთი საჯარო კამპანიები, როგორიც შარშან იყო, რამაც მათი ბიზნესი გარკვეულწილად დააზარალა“.

იხ. 6 გვ.

დაგროვებითი პენსია – უპირატესობა და უიმედობა...

2019 წლიდან ძალაში შედის კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. რუსთაველების ერთი ნაწილი უნდობლობას ავლენს საპენსიო რეფორმის მიმართ,ზოგს საერთოდ არ სმენია, ზოგსაც მოსწონს, მაგრამ ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე დაგროვებითი პენსია არ იმუშავებს, მისი ბუნდოვანებისა და ძველი გამოცდილების გამო.

საპენსიო რეფორმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „საპენსიო სააგენტომ“ უნდა განახორციელოს. კანონის თანახმად, სწორედ სააგენტოს ფონდში დაგროვდება დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფოს მიერ შეტანილი თანხა. დასაქმებული მოქალაქე საპენსიო ფონდში ყოველთვიურად შეიტანს დაუბეგრავი ხელფასის 2 პროცენტს, 2-2 პროცენტს შეიტანენ დამსაქმებელი და სახელმწიფოც. კანონი სავალდებულოდ ვრცელდება 40 წლამდე ასაკის დასაქმებულებზე, 40 წლის ზემოთ კი ნებაყოფლობითია. „საპენსიო სააგენტოს“ დირექტორმა ლევან სურგულაძემ დაგროვებითი პენსიის უპირატესობაზე რუსთავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ისაუბრა, რის შემდეგაც დაახლოებით ორი საათის განმავლობაში პასუხობდა მოქალაქეთა შეკითხვებს. მათი ნაწილი ეჭვსაც გამოთქვამდა.

„ამ ასი ლარის ღირებულება 30 წლის მერე ნამდვილად აღარ იქნება, თუ გავითვალისწინებთ გამოცდილებას, რომელიც საქართველოს აქვს, შეიძლება 10 ლარიც აღარ იყოს. და რა გარანტია მაქვს? ხომ მირჩევნია გადავიყვანო უცხოურ ვალუტაში, დავზოგო ბანკში, თუნდაც ანაბრის სახით ან კერძო საკუთრების სახით?“ – იკითხა ერთ-ერთმა დამსწრემ, რომელიც ტურისტული კომპანიის ხელმძღვანელი აღმოჩნდა. მას „საპენსიო სააგენტოს“ დირექტორმა ლევან სურგულაძემ განუმარტა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, დასაქმებულისთვის დარიცხული ხელფასი 1000 ლარია და გადაწყვეტს საპენსიო თანხის დაგროვებას:

„16 ლარი ეს არის ის განკარგვადი შემოსავალი, რომელიც დღეს დათმეთ და ამის სანაცვლოდ თქვენს (საპენსიო) ანგარიშზე, ამ 16 ლარის სანაცვლოდ გაჩნდა 20 ლარი. ამ 20 ლარს დაემატა კიდევ 20 ლარი, რომელიც დადო თქვენმა დამსაქმებელმა, და მას კიდევ დაემატა 20 ლარი, რომელიც დადო სახელმწიფომ. ესე იგი თქვენ განკარგვადი შემოსავლიდან დათმეთ 16 ლარი და ანგარიშზე გაგიჩნდათ 60 ლარი. ეს რომ დათვალოთ, გამოდის 260 პროცენტი მომენტალური ურისკო ამონაგები ინვესტიცია“.

ლევან სურგულაძის თქმით, საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს პროგნოზით, ერთ წელიწადში საპენსიო ფონდში 1,5 მილიარდი ლარი დაგროვდება, 5 წელიწადში კი ეს თანხა მიაღწევს 5 მილიარდს, რომელსაც სხვადასხვა საინვესტიციო პროექტში დააბანდებენ.

„საპენსიო სააგენტოს სტრუქტურა მოიაზრებს არა მხოლოდ დამოუკიდებელ საინვესტიციო საბჭოს და მის ქვესტრუქტურას, არამედ მეორე მხარეს იქნება ასევე სრულიად დამოუკიდებელი და იგივე მაღალი ლეგიტიმაციის რისკის კონტროლის სამსახური, რომელსაც ეყოლება თავისი საბჭო, იქნება მთავარი რისკის ოფიცერი, იქნება რისკის სამსახური. გააკეთებენ ყოველდღიურად ყოველი ტრანზაქციისთვის რისკების მონიტორინგს, რისკების აღმოჩენას, მათ შეფასებას, დათვლას, აგრეგირებას“.

პირადად ჩემთვის ყოველი კაპიკი მნიშვნელოვანია. ხელფასები დაბალია, გადასახადები მაღალია, ინფლაციის გამო ყველაფერი გაძვირდა და ის (დაუბეგრავი შემოსავლის) 2 პროცენტიც კი ტვირთად აწვება ადამიანს, როცა კომუნალური გადასახადები იზრდება, შემოსავლები კი არ იზრდება.

ლევან სურგულაძეს საუბარი ჯერ დასრულებული არ ჰქონდა, როცა დარბაზიდან ირონიული რეპლიკით მიმართეს: **თქვენ ეკონომისტები ხართ თუ ილუზიონისტებიო?..**

ღიმილნარევი პასუხის მოსმენის შემდეგ, რეპლიკის ავტორმა, დაახლოებით 50 წლის მამაკაცმა, დარბაზი დატოვა. შეხვედრის შემდეგ რუსთავის მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა ნინო ქვირიამ რადიო თავისუფლებას უთხრა, რომ „საპენსიო სააგენტოს“ დიდი ძალისხმევა დასჭირდება მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად: **„არაპენსიონერებს უფრო მეტი კითხვა გაუჩნდებათ, ვიდრე პენსიონერებს და ის ჩვენი პენსიონერებიც აუცილებლად მოიკითხავენ (90-იან წლებში) გაყინულ პენსიებს და შეახსენებენ საზოგადოებას, ის დაგროვილი პენსიები სად და რა მიზნით გამოიყენეს. თუმცა შესაძლებელია (მოსახლეობისთვის ინფორმაციის) სწორად მიწოდება, სწორად ყველაფრის გაკეთება და ნდობის მოპოვება ხალხში“.**

საპენსიო რეფორმის მიმართ სკეპტიციზმის სხვა მიზეზი აქვს რუსთავის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით იშხნელს: **„15-20 წლის შემდეგ რა იქნება, როგორი ვითარება იქნება, ამ თანხებს როგორ გამოიყენებენ? დაგროვილ თანხას როგორი მსყიდველუნარიანობა ექნება? მეც რიგითი მოქალაქე ვარ და მეც ამ რისკებს ვხედავ. ამაზე განმარტებები აუცილებელია“.**

დავით იშხნელი დასძენს, რომ ის 40 წელს გადაცილებულია, ამიტომ მასზე დაგროვებითი პენსიის კანონი სავალდებულოდ არ ვრცელდება.

გიორგი გოგრიჭიანი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს. ამბობს, რომ ის, რაც დაგროვებით პენსიაზე ზედაპირულად სმენია, მისთვის მისაღები არ არის: **„პირადად ჩემთვის ყოველი კაპიკი მნიშვნელოვანია. ხელფასები დაბალია, გადასახადები მაღალია, ინფლაციის გამო ყველაფერი გაძვირდა და ის (დაუბეგრავი შემოსავლის) 2 პროცენტიც კი ტვირთად აწვება ადამიანს, როცა კომუნალური გადასახადები იზრდება, შემოსავლები კი არ იზრდება“.**

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლის გიორგი გოგრიჭიანის თქმით, საპენსიო საკითხი მის კოლეგებსაც აღელვებთ, დაგროვებით პენსიაზეც უსაუბრიათ, მაგრამ ბევრი რამ კვლავ ბუნდოვანია.

დავით მჭედლიძე

„ფორბსი“: რატომ არის ქართული ღვინო პლანეტის ყველაზე უნიკალურ ღვინოებს შორის...

რატომ არის ქართული ღვინო პლანეტის ყველაზე უნიკალურ ღვინოებს შორის, – ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას ცნობილი ამერიკული გამოცემა „ფორბსი“.

„როდესაც გასულ წელს არქეოლოგებმა საქართველოში რვა ათასი წლის წინანდელი კერამიკის ნამსხვრევებზე მეღვინეობის კვალი აღმოაჩინეს, პატარა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მსოფლიოს უძველესი ღვინის მწარმოებლის გვირგვინი მოირგო“, – წერს სტატიის ავტორი ლანა ბორტოლოტი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოში თეთრი ღვინის დაყენების განსაკუთებული წესი არსებობს, რაც გულისხმობს ღვინის ყურძნის ჩენჩოსთან და წიპწასთან თვეობით კონტაქტს და მიწაში ჩაფლული თიხის ამფორაში – ქვევრში დუღილს. **„ეს ტენდენცია პოპულარული გახდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, თუმცა მისი ფესვები ქართული კულტურის სიღრმიდან მოდის“,** – ნათქვამია „ფორბსის“ სტატიაში.

აქვე მოყვანილია „ქართული ღვინის სახლის“ გაყიდვების მენეჯერის ნოელ ბროკეტის შეფასებაც.

„იმაში, თუ როგორ უყვართ ქართველებს ღვინო, არის რაღაც განსაკუთრებული. ეს ცოტა ექსცენტრიულია, შემდეგ როდესაც ამას უკვირდები, ნამდვილად გაოცებული რჩები – ეს არის კულტურისა და ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი“, – ამბობს „ფორბსთან“ ვაშინგტონში მდებარე „ქართული ღვინის სახლის“ გაყიდვების მენეჯერი ნოელ ბროკეტი, რომელიც ღონისძიებას ჩოხაში ჩაცმული ესწრება.

როგორც სტატიის ავტორი წერს, საქართველოში ტრადიციული მეღვინეობა ყოველთვის იყო საშინაო საქმე, რომელიც დაკავშირებულია ისტორიასთან, რელიგიასთან და მითოლოგიასთან. არსებობს ძველი ლეგენდა, რომლის თანახმადაც, მეომრები ჯაჭვის პერანგში გულთან ვაზის ლერწამს იმაგრებდნენ. ამგვარად, როდესაც ისინი ბრძოლაში იღუპებოდნენ, მათი გულებიდან ვაზი იზრდებოდა.

„თუ გავიხსენებთ ისეთ ქვეყნებს, როგორიც საფრანგეთი და იტალიაა, რომლებიც ღვინოცენტრული კულტურის მქონენი არიან, საქართველომ ეს სრულიად სხვა დონეზე აიყვანა – ბევრად სიღრმისეულად, ვიდრე გვინახავს“, – ამბობს სომელიე ლოს-ანჯელესიდან ტეილორ პარსონსი, რომელიც საქართველოში სამჯერ იმყოფებოდა.

სტატიაში ნათქვამია, რომ რვა ათასი წლის ისტორიის მიუხედავად, ქართული ღვინო მსოფლიოს ღვინის რუკაზე ცოტა ხნის წინათ გაჩნდა, რაც ნაწილობრივ ქარვისფერი ღვინის ტენდენციის, ნატურალური ღვინისადმი მზარდი ინტერესისა და მეღვინეობის გაუმჯობესების შედეგია. თუმცა ეს გეოპოლიტიკური მიზეზებითაც არის განპირობებული.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, კასპისა და შავ ზღვებს შორის მოქცეულ პატარა რესპუბლიკაში მეღვინეობა საბჭოთა მმართველობის დროს 2003 წლამდე დაზარალებული იყო. ისტორიული ვენახები გამოიყენებოდა იაფი ქარხნული ღვინის წარმოებისთვის. სამოქალაქო ომმა და შემდეგ ქართულ ღვინოზე 2006-2013 წლებში დაწესებულმა რუსულმა ემბარგომ ხარისხისკენ სვლა უფრო მეტად შეაჩერა.

„მთავრობას სურდა, რომ გაუმჯობესებულიყო თანამედროვე ღვინის წარმოება, რომელიც გაიყიდებოდა დიდი მოცულობით, ამიტომ სახელმწიფომ მხარი დაუჭირა დიდი კოოპერატივების თანამედროვე მეღვინეობებად გარდაქმნას“, – ამბობს ღვინის ექსპერტი ლიზა გრანიკი, რომლიც საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მრჩეველად მუშაობდა.

„ქართული ღვინის მემკვიდრეობა აღდგა, როდესაც ჯონ ვურდემანის მსგავსმა ადამიანებმა დაინახეს მისი უნიკალური ადგილი მსოფლიოში. ამერიკელი უკვე ცხოვრობდა ამ ქვეყანაში, როგორც ყოფილი მხატვარი, როდესაც საქართველოს მეღვინეობის გულში, კახეთში მერვე თაობის მეღვინემ გელა ფათალიშვილმა მას ადგილობრივი ღვინო გააცნო. 2007 წელს მათ ერთად დააარსეს ღვინის მწარმოებელი კომპანია „ხოხბის ცრემლები“, რითაც ქართული ღვინის კულტურის აღორძინება და შენარჩუნება დაიწყეს“, – წერს „ფორბსი“.

„ფორბსი“ აღნიშნავს, რომ ქართველ მეღვინეებს შორის დღეს წარმოდგენილები არიან როგორც ტრადიციული მეღვინეები, ისე მიგრანტები, როგორებიც არიან ვინსენტ ჟულიენი და გიომ გუერუ – ორი ფრანგი, რომლებმაც შექმნეს Lapati – ფერმა საგარეჯოში. ისინი 12 ათასამდე ბოთლს აწარმოებენ ისეთი ბაზრებისთვის, როგორიცაა იაპონია, დანია და აშშ.

„საქართველო ჯერ კიდევ იმყოფება იმ პროცესში, როდესაც ადამიანები ცდილობენ, გააუმჯობესონ ვენახები, რომელიც იყო საშინელ მდგომარეობაში და ჯერ კიდევ ბევრი მწარმოებელი სრულად არ აკონტროლებს ხარისხს“, – ამბობს ღვინის ექსპერტი საიმონ ჯეი ვულფი.

სტატიის დასასრულ, ავტორი მკითხველს ქართული ღვინის ხუთი სახეობის გასინჯვას ურჩევს, მათ შორის: ქისი, მწვანე, რქაწითელი, საფერავი და წინანდალი.

ქეთი ჩოხელი

მომსახურების სფეროში ადამიანები ისევ იჩაგრებიან!!!

(მეხუთე გვერდიდან)

რატომ არ იცვლება სურათი? იმიტომ, რომ დამსაქმებლებს არ ეშინიათ კანონის, არ ეშინიათ სახელმწიფოსი. მათ იციან, ამბობს გიგა ბექაური, რომ დასაქმებულები ძალიან იშვიათად თუ წავლენ მათ წინააღმდეგ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: როგორც წესი, ასეთი დავები ძალიან დიდხანს გრძელდება, სასამართლოში დავას კი სჭირდება ფული, რომელიც ისედაც მიზერულ ხელფასზე მომუშავე დასაქმებულებს არა აქვთ. მისივე თქმით, დამსაქმებლების წისქვილზე ასხამს წყალს ისიც, რომ სუპერმარკეტების თანამშრომლები, გაუსაძლისი პირობებისა და უპერსპექტივობის გამო, ძალიან ხშირად ტოვებენ სამსახურს და ისინი, როგორც წესი, კოლექტიურად შრომითი დავის წამოწყებას ერიდებიან. პრობლემებზეც მხოლოდ სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ლაპარაკობენ.

ჰიპერმარკეტებში შრომით პირობებს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიც სწავლობდა“ – ვითარების ამსახველი მასალა შარშან მათ ანგარიშშიც მოხვდა. EMC -ის იურისტი **ეთო გვრიტიშვილი** გვეუბნება, რომ მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების სამუშაო პირობები არ გაუმჯობესებულა.

„კანონი დამსაქმებელს პირდაპირ ავალდებულებს, რომ თუ სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში კანონით დადგენილ 40 საათს აჭარბებს, ის ვალდებულია, დასაქმებულს ზეგანაკვეთური შრომის საფასური გადაუხადოს უფრო მაღალი ტარიფით. ასეთი შემთხვევა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არ შეგვხვედრია“.

ძალიან ხშირად მაღაზიებში კონსულტანტად მისულ ადამიანებს უწევთ დამლაგებლის, დაცვის თუ სხვა თანამშრომლის ფუნქციების შეთავსება. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც პროდუქციის დაზიანებისა თუ დაკარგვისას, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, სწორედ კონსულტანტი ისჯება ხელფასის დაქვითვით – ასეთი „მოპარული ხელფასის“ შემთხვევები, როგორც მას უწოდებენ შრომის უფლებების დამცველები, ძალიან ხშირია.

„თარჯიმნებსაც გვიშველეთ“

კომპანიის ხელმძღვანელობასთან ხელფასების დაკლების, დაგვიანებისა და, ზოგადად, ადამიანური მოპყრობის გამო პრობლემები მხოლოდ მაღაზიების თანამშომლებს არა აქვთ. ორიოდე კვირის წინათ დამოუკიდებელი პროფკავშირის, „სოლიდარობის ქსელის“, ფეისბუქის გვერდზე დახმარება თარჯიმნებმაც ითხოვეს. ტენდერების სფეროში მომუშავე კომპანია „თბილისის ბიზნეს სახლის“ უკვე ყოფილი თანამშრომელი თეა ღავთაძე წერდა, რომ ამ კომპანიაში მუშაობის 3 წლისა და 5 თვის განმავლობაში ორად ორჯერ ჩაერიცხა ხელფასი დროულად!

რადიო თავისუფლებას თეამ უთხრა, რომ ხელფასი ხშირად ორი და სამი თვეც იგვიანებდა. კომპანიას მიზეზი არ ელეოდა. ძირითადი ის იყო, რომ „სახელმწიფო მათ თანხას დროულად არ ურიცხავდა“:

„მერე ჩვენ ვარკვევდით, იყო თუ არა ეს თანხა გადმორიცხული. აღმოჩნდებოდა, რომ იყო, მაგრამ ჩვენი ხელფასი მაინც იგვიანებდა. ხან ამბობდნენ, რომ ჯარიმები ჰქონდათ გადასახდელი და ა.შ. ჩვენ კი 24 საათი ვმუშაობდით. დღეც და ღამეც. ხან წერილობით თარგმანზე, ხან გამოძახებები იყო და ღამეც გვიწევდა თარგმნა“.

თეა ღავთაძე კუთვნილი სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვს. კომპანია სთავაზობს, რომ მისთვის მისაცემ 700 ლარს ორ წელზე გაუნაწილებს და თვეში, დაახლოებით, 31 ლარს მისცემს.

„დაცინვაა, მეტი არაფერი“, – ამბობს თეა ღავთაძე.

ის არ უარყოფს, რომ მინიმალურ ხელფასსა და სამუშაო გრაფიკზეც ყველა თავისი ნებით თანხმდება, რადგან სამუშაო ადგილები ჭირს. მაგრამ, როცა იმ მინიმუმსაც აღარ გიხდიან, რაც გეკუთვნის, ბრძოლას იწყებ.

შრომა საქართველოში არ არის ღირსეული ცხოვრების წინაპირობა –ასე მიიჩნევს „სოლიდარობის ქსელიც“ – დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი, რომელიც ასევე იცავს დასაქმებულების შრომით უფლებებს.

2017 წელს დასაქმებულთა მდგომარეობა მათაც იკვლიეს და მაშინ გამოჩნდა, რომ მომსახურების სფეროში 11 თვეზე მეტხანს მომუშავე ადამიანებიდან მხოლოდ 52 %-მა ისარგებლა შრომის კოდექსით გათვალისწინებული 24-დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით. 20 % კუთვნილ შვებულებაში საერთოდ არ გასულა. სუპერმარკეტებში დასაქმებულთა 90% აღნიშნავდა, რომ კანონით განსაზღვრულ 40 სთ-ზე მეტს მუშაობდა, მაგრამ მათ ზეგანაკვეთურ შრომაში არავინ არაფერს უხდიდა. სოლიდარობის ქსელის დამფუძნებელი დავით ომსარაშვილი პროგრესს ვერც 2018 წელს ხედავს და ამას ამტკიცებს ის ათობით და ასობით ადამიანი, ვინც საკუთარი შრომითი უფლებების დასაცავად „სოლიდარობის ქსელს“ ხშირად მიმართავს.

საქართველოს შრომის ბაზარზე რომ ბალანსი დამსაქმებლის სასარგებლოდ არის დარღვეული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის ანგარიშშიც წერია. აუდიტის სამსახურმაც მომსახურების სფერო იკვლია და ზედაპირზე ზუსტად იგივე პრობლემები ამოვიდა, რაც წინა კვლევებში.

- **კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდზე (3 თვე) დიდი ხნის განმავლობაში წერილობითი ხელშეკრულების გარეშე დასაქმება;**
- **ხელშეკრულებაში არსებითი პირობის – ანაზღაურების – გაუთვალისწინებლობა;**
- **შრომის ანაზღაურების დაგვიანება-გადაუხდელობა;**
- **კონკრეტულ პოზიციაზე გაწერილი მოვალეობების არარსებობით გამოწვეული გაზრდილი სამუშაო დატვირთვა;**
- **ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების სისტემატური აუცილებლობა და არასათანადო ანაზღაურება;**
- **ანაზღაურებადი შვებულების არარსებობა;**
- **საქონლის დანაკლისის გამო ხელფასის ჩამოჭრის პრაქტიკა და ა.შ.**

აუდიტის სამსახურმა ამ ანგარიშში პირდაპირ ჩაწერა, რომ *შრომის ინსპექცია არ ამოწმებს დამსაქმებლების საქმიანობის შრომის უფლებებთან შესაბამისობას! არ ახორციელებს ზედამხედველობას შრომის უფლებების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორებიცაა: ხელშეკრულება, ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო დრო, ავადმყოფობის დროს იძულებითი მოცდენის ანაზღაურება, შვებულებით სარგებლობა და სხვ. და რომ „აღნიშნული უფლებების რეალიზებას არსებითი მნიშვნელობა აქვს სტაბილური და პროდუქტიული დასაქმებისთვის, რაც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა“.*

თუმცა ჯერჯერობით ყველა ზემოჩამოთვლილი გამოკვლევის დასკვნა და რეკომენდაცია ქაღალდზე რჩება.

ეკა ძევანიშვილი

გარდაიცვალა ისე, როგორც იცხოვრა

ირაკლი ციციშვილი 100 წლისაა

გუშინდელ დღესავით მახსოვს 1952 წლის პირველი სექტემბერი, პირველი ლექცია. არქიტექტურის სპეციალობაზე ჩარიცხული ბედნიერი და ეგზალტირებული სტუდენტების წინაშე წარსდგა ახალგაზრდა ლექტორი, საკუთარ ღირსებაში და მნიშვნელობაში დარწმუნებული წარმოსადეგი, ლამაზი მამაკაცი – **ირაკლი ციციშვილი. მის მკერდზე გმირის ოქროს ვარსკვლავი ბრწყინავდა.**

მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველოდით... მთელი საქართველო ამაყობდა მისით, ის ხომ 40-იანი წლების ახალგაზრდობის კერპია – ომის გმირი, ზნეობის მაგალითი. ასეთად დარჩა ბატონი ირაკლი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

1941 წლის 22 ივნისს ომი დაიწყო, 24-ში სადიპლომო პროექტი დაიცვა, 30 ივნისს კი, რამდენიმე თანაკურსელთან ერთად გაურკვეველი მიმართულების მატარებელში ჩასვეს. ასე უცაბედად, მოულოდნელად შემოიჭრა მის ცხოვრებაში უდიდესი განსაცდელი.

ბრძოლები კურსკის რკალზე, ლენინგრადთან, სტალინგრადთან, ჩეხეთში, უკრაინაში... უკრაინა მისი გმირობის აკვანია. აქ, მდინარე დნეპრზე, თოვლსა და ყინვაში, კანონადის ქვეშ, ოთხ დღე-ღამეში ააგო 350 მეტრი სიგრძის ხიდი პონტონებზე, გზა გაუხსნა მძიმე ტექნიკას კიევისაკენ... მისი სახელი მთელ საქართველოს აკერია პირზე. განსაკუთრებული სიამაყით იმას ყვებიან, თურმე ახალგაზრდა არქიტექტორმა, მძიმე წუთებშიც არ უღალატა ინჟინრულ ტრადიციას და დადგა მის მიერ აგებული ხიდის ქვეშ, როგორც საიმედოობის გარანტი და საკუთარ თავზე გადაატარა ტანკების კოლონა. **„გავიმარჯვეთ ჭია-ჭია მარია, ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს“** – ახლაც ყურში ჩამესმის ქალბატონ ანა კალანდაძის ხმა.

რამდენიმე ჭრილობით, გმირის ვარსკვლავით და ორდენებით დაუბრუნდა მონატრებულ სამშობლოს.

ახალ, „დამოუკიდებელ საქართველოში“ კი, მას და ათასობით სხვასაც, გული ატკინეს საყველპურო პოლიტიკანებმა. უდიდეს ტრაგედიას, მეორე მსოფლიო ომს სხვისი ომი უწოდეს და მათი თავგანწირვა საქართველოს ღალატადაც კი მონათლეს.

მოკლე ცნობა: 26 წიგნის, 300-მდე სტატიის ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, იტალიის ხელოვნების აკადემიის წევრი, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული გეგმარების, შემდგომ, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის კათედრის გამგე, მინისტრი – საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე, გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე...

ბატონმა ირაკლიმ პირველად საბჭოთა კავშირში ჩამოაყალიბა „ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო“, რომელსაც 12 წელიწადი ხელმძღვანელობდა. ამ წლებმა ასეულობით ძეგლი გადაარჩინა განადგურებას.

ზედმიწევნით უპრეტენზიოს არასდროს გაუსვია ხაზი საკუთარი დამსახურებისათვის. არასდროს, არავითარ კონტექსტში არ საუბრობდა თავის დიდ წინაპრებზე, გვარის დამსახურებაზე, არ იშველიებდა მათ სახელებსა და საქმეებს „პირადი პრობლემების“ მოსაგვარებლად.

ის, ალბათ ერთადერთი თანამდებობის პირი იყო მთელ საბჭოთა კავშირში, რომლის მძღოლი შაბათ-კვირას საკუთარ ოჯახში ატარებდა. შაბათი დღე ძალიან დატვირთული იყო, 4-6 საათი ლექცია, კათედრის ყოველდღიურობა. ლექციებს შორის, შესვენებაზე მიუჯდებოდა საბჭჭდ მანქანას და გულმოდგინედ ბეჭდავდა. ჩვენს შეკითხვაზე, ბატონო ირაკლი, ამას ჩვენი გოგოებიც ხომ გააკეთებენ, ერთი და იგივე პასუხს ვღებულობდით. ეს კათედრის საქმე არ არის, ჩემ სტატიას ვბეჭდავ.

ბატონი ირაკლის მთელი მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, რომ მისი სათაყვანებელი საქართველო, ახალგაზრდობა ყოფილიყო საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რათა მისი ხალხი დროზე განთავისუფლებულიყო ზოგიერთი ცრურწმენისაგან საკუთარ განსაკუთრებულობაზე. ამისთვის ის იყენებდა ყველაფერს – აუდიტორიას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, პირად ურთიერთობებს.

ყოველთვის პირდაპირ ამბობდა სათქმელს. ასე იქცეოდა მაშინაც, როდესაც მთელ საბჭოეთს პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული. მაგონდება ერთი ეპიზოდი: 60-იან წლებში პარტიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ვიწრო შარვლებს და მოკლე კაბებს. ბატონი ირაკლი ტელევიზიაში მიიწვიეს, რამდენიმე „მოთელვითი“ კითხვის შემდეგ, წამყვანმა „სხვათა შორის“ ჰკითხა – რა აზრის ბრძანდებით მოკლე კაბებზე და ვიწრო შარვლებზეო. **„დაანებეთ თავი მოკლე კაბებს და ვიწრო შარვლებს, ებრძოლეთ ვიწრო აზრებს და მოკლე ჭკუასო“** – გაისმა პასუხად. ეკრანი უცებ გაშავდა, მთელ ქალაქში გამოირთო შუქი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული სკოლის თითქმის ასწლიანი ისტორიის ნახევარი ბატონი ირაკლის ცხოვრების ისტორიაა. მისი ხელმძღვანელობით არქიტექტურის კათედრა ფაკულტეტად გარდაიქმნა, მოგვიანებით – ინსტიტუტად. ეს იყო არა ფირნიშის შეცვლა, არამედ,

ოთარ კალანდარიშვილი, ირაკლი ციციშვილი, ვახტანგ დავითაია

თვისობრივი ცვლილებების და განვითარების შედეგი. ბატონი ირაკლი ამ სკოლის არა მხოლოდ მაღალი სამეცნიერო და პედაგოგიური დონის განმსაზღვრელი იყო, არამედ მთელი კოლექტივის მოქალაქეობრივი სინდისის, ზნეობის გარანტიც!

არისტოკრატი იყო გვარიშვილობით, გენეტიკით, არსით, სულიერი წყობით. სხვანაირად არც შეიძლებოდა. უყურებ ბატონი ირაკლის მამის, ნიკოლოზის და მასთან ერთ რიგში მდგომ ხუთი ძმის – ივანეს, დიმიტრის, პავლეს, ალექსანდრეს და გიორგის ფოტოს – ეს საოცრებაა! – ახოვნები, ლამაზები, ვაჟკაცურები, მათგან ერთი პოლკოვნიკის, ხოლო მეორე გენერლის ჩინით. არ იკითხავთ ნათესავთა წრეს – ბეგთაბეგიშვილები, ფავლენიშვილები, ვაჩნაძეები, ფალავანდიშვილები, თარხან-მოურავები, მხარგრძელები... ისტორია, წარსული, გვარიშვილობა, რამდენადაც საამაყო, იმდენად ტრაგიკული აღმოჩნდა. ბოლშევიკური დახვრეტები, გადასახლებები, მუდმივი შიში გახდა ამ წარმოჩინებული ოჯახის თანმდევი.

მოკლედ პირადულზეც. ამაყი ვარ, რომ ბატონი ირაკლის გვერდით ვიყავი თითქმის ორმოცი წელიწადი. მეამაყება ის, რომ წლების მანძილზე ვხელმძღვანელობდი იმ კათედრას (მიმართულებას), რომელსაც მან ორმოცი წელი შეალია და სადაც აღიზარდა ქართველ არქიტექტორთა მთელი თაობები. მადლობელი ვარ იმ კეთილგანწყობილებისთვის, რომელსაც ის იჩენდა გამოუცდელი, პროვინციელი ყმაწვილის მიმართ, როდესაც ის პირველ ნაბიჯებს დგამდა ცხოვრებაში. ბატონი ირაკლი რომ არა, შესაძლოა, ჩემი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წასულიყო.

აქვე მინდა, „გავამხილო“ იმ საუბრის შესახებ, რომელიც მხოლოდ ჩემმა უახლესმა მეგობრებმა იციან. სხვა დრო მეც არ მრჩება, ოთხმოცდაოთხისა ვარ.

1992 წელი. ბატონმა ირაკლიმ მიხმო: – ვახტანგ, გადაწყვეტილია, არქიტექტურული გეგმარების კათედრიდან ცალკე გავიდეს ქალაქგეგმარების კათედრა. არქიტექტურული გეგმარების კათედრას შენ უნდა უხელმძღვანელო.

– როგორ ბატონო ირაკლი, ფაკულტეტზე სამი არქიტექტურის დოქტორია და ათამდე მეცნიერების კანდიდატი, მე საკანდიდატოც არ დამიცავს.

– არა! არქიტექტურული გეგმარების კათედრის ხელმძღვანელი პრაქტიკოსი არქიტექტორი უნდა იყოს!

ეს არა თუ თხოვნა, არამედ მოთხოვნა იყო. ეს იყო და ეს. არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა.

23 წელი ვხელმძღვანელობდი არქიტექტურული გეგმარების კათედრას. 15 წელი, როგორც „კათედრის გამგე“, ხოლო, „ბოლონიის პროცესის“ მოთხოვნის გამო, 8 წელი, როგორც „მიმართულების ხელმძღვანელი“. ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვიტყვი, გვქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის და ამ ასპარეზზე, ჩვენი არქიტექტურული სკოლის ცნობადობის თვალსაზრისით, რაც ჩვენი სტუდენტების მიერ ათეულობით საერთაშორისო და რეგიონალურ კონკურსში გამარჯვებებმა განაპირობეს.

ჩემს მოღვაწეობაში მუდამ თან მსდევდა პასუხისმგებლობა ბატონი ირაკლის მიმართ.

უკანასკნელი 24 საათი

2001 წ. 3 მაისი, დღის 4 საათი. სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გაფართოებული სხდომა. მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციის აპრობაცია. სხდომას უძღვება ბ-ნი ირაკლი. იგი მისთვის უჩვეულოდ გრძლად საუბრობს. ფრაგმენტულად. ყვება სხვადასხვა ამბებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დისერტაციასთან. იხსენებს, როგორც შორეული, ისე ახლო წარსულის, საკმაოდ დელიკატურ ამბებს, ადამიანებს, შეულამაზებლად, გახსნილად, ეს მისი ბიოგრაფიის ნაწილია. დარბაზი სულგანაბული უსმენს. რატომ „გაუმხილა“ ყოველივე აუდიტორიას? ხომ არ ჰქონდა წინათგრძნობა იმისა, თუ ახლა არ იტყოდა, საერთოდ სამუდამოდ უთქმელი დარჩებოდა? ახლა ცხადია, ეს აღსარება იყო, ნამდვილი აღსარება, განგებამ უკარნახა.

2001 წ. 4 მაისი. დილიდან ლექცია, კათედრის საქმეები. 2 საათზე მობრძანდა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს და საინჟინრო აკადემიის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების გაერთიანებულ საბჭოს სხდომაზე. იყო ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანი და მომხიბლავი, საზეიმოდ ჩაცმული. სარიტუალო ელფერი დაჰკრავდა. სიტყვით გამოვიდა. თავმჯდომარეს დაეთხოვა და გავიდა. მინისტრმა, მერაბ ჩხენკელმა, მძღოლი დააწია (თვითონ ხომ არასდროს არაფერს არ ითხოვდა).

დღის 4 საათზე აუყვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის კიბეს, ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე მიეჩქარებოდა. წამით შეჩერდა, ჩაიმუხლა და... გათავდა...

ასეთი იყო 83 წლის ირაკლი ციციშვილის ცხოვრების უკანასკნელი 24 საათი. გარდაიცვალა ისე, როგორც იცხოვრა, – მოძრაობაში, ფიქრში, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის დროს, თითქოს, ლამაზად სიკვდილისთვის გამოვიდა იმ დილით სახლიდან...

ამდენი წუხილის მნახველ საქართველოს, თითქოს, დაუბლაგვდა ტკივილის განცდა. მაგრამ ბატონი ირაკლი აქაც გამონაკლისი აღმოჩნდა – იგი გულწრფელად დაიტირეს მეგობრებმა, კოლეგებმა, ახალგაზრდობამ, მთელმა საქართველომ.

ბიძაები: ძმები ციციშვილები – ივანე, ნიკოლოზი, დიმიტრი, პავლე, ალექსანდრე და გიორგი (ი. ციციშვილის მამა, ნიკოლოზი დგას მარცხნიდან მეორე)

ვახტანგ დავითაია.

XI.2018 წ.

ორი რუსეთის მსგავსად პუტინიც ორია?!

2014 წელს, სოჭის ოლიმპიადის პარალელურად, ვლადიმერ პუტინი საქართველოს დაუტკბა და გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შესაძლებლობა არ გამორიცხა, თუმცა შეხვედრა არ შემდგარა. იმ პერიოდში აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან დაკავშირებით, უნდა წასულიყვნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები ოკუპანტი რუსეთის მიერ მოწყობილ სოჭის ოლიმპიადაზე. თუმცა მას შემდეგ, რაც ქართველი სპორტსმენები ოლიმპიადაზე მონაწილეობას დათანხმდნენ, პუტინის გულიც ჩვენი მისამართით „ბაიღო“.

ეს წლების წინათ ხდებოდა, ახლა კი სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებისთანავე რუსეთი საქართველოსთან ახალი ურთიერთობების შესაძლებლობაზე ალაპარაკდა. ზურაბიშვილის გამარჯვების შემდეგ დიალოგის იმედი გამოთქვა კონსტანტინე კოსაჩოვმა, რუსეთის ფედერაციის საბჭოს საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ. ამ მოლაპარაკების ირგვლივ უფრო თამამ განცხადებებს აკეთებდნენ რუსი ექსპერტები.

თუმცა, სანამ რუსეთი ასე იქცევა საოკუპაციო ხაზზე, სანამ ყოველდღიურად იტაცებენ ადამიანებს და სანამ ეს ხაზი ინაცვლებს ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში, უფრო და უფრო ახლოს თბილისთან, სალომე ზურაბიშვილი არ ფიქრობს, რომ რუსეთთან თანამშრომლობის ფაზაში გადასვლა შეგვიძლია.

„ეს შესაძლოა, სხვა ვლადიმერ პუტინი იყო, ვიდრე ახლა, რადგან მაშინ რუსეთი დათანხმდა საქართველოს ტერიტორიიდან ბაზების გაყვანას“, — ასეთი შთაბეჭდილება დარჩა სალომე ზურაბიშვილს წლების წინათ ვლადიმერ პუტინთან ურთიერთობის თაობაზე. დღეს როგორია ვლადიმერ პუტინი და, ორი რუსეთის მსგავსად, არსებობს თუ არა ორი პუტინიც?!

თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი სოსო მანჯავიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ოკუპირებულია, მაგალითად, კურილის კუნძულები, კარელია, დნესტრისპირეთი, თავის დროზე აშშ-მა მოახდინა მექსიკის ნახევრის ოკუპაცია, ინგლის-არგენტინის დაპირისპირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შედეგად რუსეთს კენიგსბერგი აქვს ოკუპირებული. ამდენად, მოლაპარაკებები ოკუპანტთან არ ნიშნავს, რომ შენ ცნო ოკუპაციის შედეგები. უბრალოდ, მოლაპარაკებები, პოლიტიკური ვაჭრობა და ინტერესთა დალაგება აუცილებელია, რათა შენ რუსეთს პოზიციების დათმობა აიძულო.

„რამდენად სერიოზული და ღირსეულია ასეთი პოზიცია, რომ ჩვენ არ მოვილაპარაკებთ რუსებთან, თუკი ჩვენი დასავლელი პარტნიორები არ გაგვიშვებენ მოსალაპარაკებლად. ეს ნიშნავს, რომ შენ წინასწარვე იყენებ საკუთარ თავს პატარა ბავშვის პოზიციაში. თუ ვერ მოელაპარაკები რუსეთს, ვერ მოელაპარაკები, მერე რა. რა სიტუაციაშიც ახლა ვართ, ეს უფრო სასაცილო არ არის? გვაქვს უვიზო რეჟიმი რუსეთთან, მაგრამ ჩვენს მოქალაქეებს ვიზის ასაღებად უამრავი პროცედურის გავლა სჭირდებათ. ამ დროს კი რუსი ტურისტები ჩამოდიან და რატომღაც ვაცხადებთ, რომ ვართ საომარ მდგომარეობაში. ასევე, ლამის თავისუფალი ვაჭრობა გვაქვს რუსეთთან, მაშინ რანაირ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით? მოლაპარაკებებს რატომ არ ვიწყებთ, თუკი ვვაჭრობთ რუსეთთან? ცხადია, დასავლელ პარტნიორებთან უნდა გვქონდეს კონსულტაციები, რადგან მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეცვლილია. თურქეთი აღარ არის ამერიკის ყურმოჭრილი ქვეყანა, აღარ არის თურქეთ-რუსეთის დაპირისპირება და მათ შორის მჭიდრო ურთიერთობაა თუნდაც იმავე სირიაში. ეკონომიკურ ურთიერთობებზე აღარაფერს ვამბობ“, — აცხადებს **სოსო მანჯავიძე**.

მისივე თქმით, სიტუაციას ართულებს ისიც, რომ შეიქმნა უპრეცედენტო რუსულ-ირანულ-თურქული ალიანსი, ანუ ერთი ზესახელმწიფო და ორი რეგიონალური სახელმწიფო საერთო ინტერესებზე ამახვილებენ ყურადღებას. ეს სამივენი კი ჩვენი უახლოესი მეზობლები არიან. გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილება მსოფლიოში განუწყვეტლივ ხდება და ჩვენს რეგიონსაც ყოველწუთში შეიძლება იგივე დაემართოს.

„როგორ გგონიათ, ასეთი სამხედრო პოლიტიკური ბალანსის დროს ჩვენ იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ დასავლელი პარტნიორები რამით დაგვეხმარებიან? რითი უნდა დაგვეხმარონ, როცა სამხედრო ბალანსი 100%-ით ჩვენი მეზობელი ამ სამი სახელმწიფოს სასარგებლოდაა? განსაკუთრებით, აქ რუსეთს ვგულისხმობ. ამიტომ რუსეთთან მოლაპარაკება პრორუსულობას არ ნიშნავს. ეს ისეთივე აბსურდია, როგორც უამრავი აბსურდული თემა, რომელიც დანერგილია ჩვენს საზოგადოებაში“, — აღნიშნა სოსო მანჯავიძემ.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სალომე ზურაბიშვილის საწყისი პოზიცია სავსებით ლოგიკური და რაციონალურია. ისეთ ვითარებაში, როგორც რუსეთი იქცევა, არავითარი პერსპექტივა მოლაპარაკებების დაწყებას არ აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, არ ვიმოქმედოთ. არსებობს ჟენევის პროცესი, არის კარასინ-აბაშიძის ფორმატი, რათა იმავე მდგომარეობამდე არ მივიდეთ, რაც იყო აგვისტოს ომის დაპირისპირებისას.

„დღეს არც ომი გვაქვს, არც მშვიდობა, ჩვენ არ ვართ საკუთარ თავზე დამოკიდებულნი, რადგან ამ პროცესის ომად გადაქცევა ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენ არ გვაქვს ძალა, ვეომოთ რუსეთს და არც ის შეგვიძლია, საერთაშორისო თანამეგობრობის გამოყენებით რუსეთი ვაიძულოთ მშვიდობისთვის. მსოფლიოში ვითარება ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ამიტომაც ლოგიკური იყო სალომე ზურაბიშვილის საწყისი პოზიცია. მას არ გამოურიცხავს რუსეთთან ურთიერთობა, ოღონდ არ შეიძლება მარტონი დავრჩეთ რუსეთის პირისპირ. სამართლებრივადაც რომ შევხედოთ ამ ფაქტს, ჩვენ სამშვიდობო ხელშეკრულება რუსეთთან არ გვაქვს აგვისტოს ომის მერე. ეს არ ნიშნავს, რომ ომის მდგომარეობაში ვართ, რადგან არც იმის რესურსი გვაქვს, ვიომოთ“, — აცხადებს **დავით ზარდიაშვილი** და შეკითხვის საპასუხოდ, ხომ არ მოიჭრა სალომემ თავისი გზა რუსეთთან საუბროდ (რადგან რუსეთისგან უკვე წამოვიდა მესიჯი, რომ საქართველოს ახალდარჩეულმა პრეზიდენტმა უარი თქვა რუსეთთან მოლაპარაკებაზე), ზარდიაშვილმა განმარტა, რომ ზურაბიშვილს არავითარი გზა არ მოუჭრია. მან ობიექტურად შეაფასა ვითარება, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთთან ლაპარაკს აზრი არ აქვს.

დავით ზარდიაშვილს ისიც აინტერესებს, რაზე უნდა ელაპარაკოს ახლად არჩეული პრეზიდენტი პუტინს? საოკუპაციო ხაზის გადმოწევა, ადამიანების მუდმივად მოტაცება, აგრესიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და, ყველაზე მთავარი, საქართველოს ორი რეგიონის აღიარება სახელმწიფოებად, ეს ხომ ფაქტობრივი ანექსიაა რუსეთის მხრიდან?

ასეთ ვითარებაში ერთადერთი იმაზე შეიძლება ლაპარაკი, რომ ეს სიტუაცია არ მივიდეს მწვავე კრიზისამდე, არ გადავიდეს ცხელი ომის ფაზაში, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. ასე რომ, სერიოზული პოლიტიკური მოლაპარაკებების დრო ამჟამად არ არის. ეს არ ნიშნავს, რომ, საბოლოო ჯამში, რუსეთთან მოლაპარაკებაზე სალომე ზურაბიშვილი უარს აცხადებს. ეს ყველაფერი რუსეთზეა დამოკიდებული და არა — ჩვენზე.

მანანა ნოზაძე

<u>მაქსიმ შევჩენკო:</u> არის მცდელობა, რომ საქართველოს მეშვეობით მთლიანად კავკასიას ცეცხლი მოუკიდონ!..

რუსეთის რადიოსადგურ „Эхо Москвы“-ის პროგრამა „Особое мнение“-ს სტუდიაში საუბრობენ გადაცემის წამყვანი მაშა მაიერსი და ჟურნალისტი მაქსიმ შევჩენკო. საუბრის თემები: უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა, საქართველო და ა.შ.

საინფორმაციო პორტალი region.ge გთავაზობთ ამონარიდებს საუბრიდან:

მაძსიმ შევჩენკო: უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირების პარალელურად არსებობს მეორე ფრონტის გახსნის საფრთხეც კავკასიასა და საქართველოში. ეს სრულიად აშკარაა.

მაშა მაიერსი: აგვიხსენით, რას გულისხმობთ.

მაძსიმ შევჩენკო: საქმე იმაშია, რომ გრიგოლ ვაშაძემ საპრეზიდენტო არჩევნები წააგო. მის ირგვლივ ბევრი წვრილ-წვრილი პარტიებია თავმოყრილი. საერთო ჯამში, მოსახლეობა მხარს არ უჭერდა არც სალომე ზურაბიშვილს და არც გრიგოლ ვაშაძის მომხრე ძალებს. ამომრჩევლებს სიმეტრიული პოზიცია ჰქონდათ. ბიძინა ივანიშვილსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები ექმნება — გრიგოლ ვაშაძე და საკაშვილელები მარტის თვეში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. მათ აქვთ საკმაო საფუძველი იმისა, რომ სერიოზული კოალიცია შექმნან. პატარა პარტიები და პლუს ამერიკელების მხარდაჭერა. რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო? ტყუილად კი არ გამოჩნდა თბილისში უკრაინელი სემიონ სემენჩენკო თავისი რაზმელებით, რომლებიც ამ დღეებში დააკავეს. (...) ჰოდა, ეს არის მცდელობა იმისა, რომ კავკასიას, საქართველოს მეშვეობით, ცეცხლი მოუკიდონ. მე მგონია, რომ მოსკოვს არავითარი სცენარი არ აქვს, როგორ შეაჩეროს ეს პროცესები და მას რა დაუპირისპიროს.

მაშა მაიერსი: მოიცათ, ხომ პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა, თქვენ კი საპარლამენტოზე ლაპარაკობთ...

მაძსიმ შევჩენკო: საქმე იმაშია, რომ საქართველოში პრეზიდენტი ფორმალურად არანაირ ხელისუფლებას არ ფლობს. ძალაუფლება აქვთ პარლამენტს და პრემიერ-მინისტრს.

მაშა მაიერსი: საქართველოსთვის ცეცხლის წაკიდების მცდელობა... ეს როგორ?

მაძსიმ შევჩენკო: მთლიანად კავკასიისათვის...

მაშა მაიერსი: აჰა, მთლიანად კავკასიისათვის... და რა უნდა გააკეთოს რუსეთმა ასეთ სიტუაციაში, როგორ ფიქრობთ? აქვს მოსკოვს რეალური ბერკეტები?

მაძსიმ შევჩენკო: მე მიძნელდება რაიმე რჩევის მიცემა. ასეთ დროს თვითონ ქართველების აზრიც უნდა ვიცოდეთ.

მაშა მაიერსი: თქვენ იყავით საქართველოში?

მაძსიმ შევჩენკო: უბრალოდ, ყურადღებით ვადევნებ თვალს სიტუაციას. მე ვთვლი, რომ საქართველო კავკასიის გასაღებია. იცით, რა არის საინტერესო? ამას წინათ 1921 წლის ომის ისტორია გადავიკითხე, როცა წითელმა არმიამ საქართველო მძიმე ბრძოლების შემდეგ დაიკავა. ომის დაწყების წინა ხანებში სერგო ორჯონიკიძე წერილს სწერს ვლადიმერ ლენინს და იოსებ სტალინს, რომელშიც აღნიშნავს, რომ „საქართველო საკვანძო როლს ასრულებს როგორც ჩრდილო კავკასიის, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ“... ორჯონიკიძე ლენინს პირდაპირ ეუბნება: „საქართველო უნდა დავიკავოთ, თორემ კავკასიას მალე მთლიანად დავკარგავთ“. ვლადიმერ ლენინს კი ქართველ სოციალ-დემოკრატებთან (ანუ მენშევიკებთან) მოლაპარაკება სურდა.

მაშა მაიერსი: რა შანსები არსებობს? არის პრორუსული რიტორიკა საქართველოში?

მაძსიმ შევჩენკო: არა, პრორუსული რიტორიკა საქართველოში შეუძლებელია. არცერთ პოლიტიკოსს, რომელიც ღიად გამოვა რუსეთთან დიალოგისთვის, არანაირი პერსპექტივა და შანსები არ აქვთ.

მაშა მაიერსი: აბა, მაშ რა უნდა გაკეთდეს?

მაძსიმ შევჩენკო: საჭიროა, გავიგოთ უძველესი მართლმადიდებელი ქართველი ხალხის სული და მას მხარი დავუჭიროთ.

მაშა მაიერსი: პატივისცემით მოვექცეთ...

მაძსიმ შევჩენკო: რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენებს ამის გაკეთება, სამწუხაროდ, არ შეუძლიათ.

წყარო: region.ge

დრო დაივიწყე, შენ საქართველოში ხარ!

მოსკოვის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – საკომუნიკაციო სააგენტო „პარტნიორ პლუსმა“ (გენერალური დირექტორი, მთავარი რედაქტორი და ავტორი ელენა სევრიუკოვა) გამოსცა ჟურნალ „Наши Лица“-ს („ჩვენი სახეები“) ახალი კრებული, რომელიც მკითხველს სიყვარულით, კეთილგანწყობით, მართლად მოუთხრობს საქართველოს დღევანდელობაზე. დღეს, როდესაც დამთავრებულია მუშაობა ამ უჩვეულო გამოცემაზე და თქვენ, ძვირფასო მკითხველო, ხელთ გაქვთ ჩვენი ჟურნალი, ცოტა არ იყოს მშურს თქვენი, თქვენ მოგიწევთ საქართველოსთან შეხვედრა“ – წერს პირველსიტყვაში – შესავალ წერილში „გახსენით საქართველო“, ქალბატონი ელენა სევრიუკოვა.

გამოცემას ლაიტმოტივად გასდევს საუბარი. ორი ხალხის – ქართველებისა და ინგუშების უნიკალურ ურთიერთობაზე. მიუხედავად განსხვავებული რელიგიური რწმენისა – ქრისტიანობისა და მუსლიმანობისა, ისინი ძმები არიან, – ასეთია დასკვნა.

კრებული იწყება გამოჩენილი ინგუში მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **ისა კოძოევის** წარდგინებით: „ვინც საქართველოს შეიყვარებს, ბედნიერებას ჰპოვებს“. ბატონი ისა ავტორია ინგუშურ ენაზე დაწერილი დიდი ისტორიული რომან-ეპოპეისა „ინგუშები“, რომლის მე-7 ტომი ეძღვნება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გმირულ ფურცელს – სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას. ერთ-ერთი მონაკვეთი ორი ხალხის მეგობრობისა დაიწერა XVII საუკუნეში, როცა ქართველი მეფის თეიმურაზის მეთაურობით ინგუშთა რაზმები დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ“ ერთ-ერთი ვერსიით ითვლება, რომ ჩვენ ქართველი დედები გვყავდა, ძველ დროში ინგუშები ამბობდნენ, რომ ქართველი ქალი დედის იდეალია“. ეს ამონარიდები ისა კოძოევს ეკუთვნის, რომლებშიც კარგად ჩანს ამ დიდი ჰუმანისტის სულისკვეთება.

„კავკასიური მენტალიტეტი“ – ასე ჰქვია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის **გიორგი კვესიტაძის** ინტერვიუს. „კავკასიურ მენტალიტეტს არსებობის უფლება აქვს, – აღნიშნავს ბატონი გიორგი, როცა კავკასიის ერთ-ერთ უნივერსალობას აღნიშნავს, – ეს მისი მრავალეროვნულობაა. იგი დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს მხარე იყო მამოძრავებელი ძალა რეგიონის საგარეო განვითარებისა. ამასთან ერთად განსაკუთრებული სითბოთი გამოჰყოფს სწორედ ინგუშ ხალხს.

პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის ერთ-ერთმა შემქმნელმა, აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელმა ქართულ და რუსულ ენებზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა** დამატყვევა ინტელიგენტურობით, კეთილშობილებითა და გადმოცემის სიცხადით. მასთან განვიხილეთ ქართული რენესანსის საუკუნე და მისი თანამემამულეების მომავალი ურთიერთობა ინგუშებთან. ინგუშებსა და ქართველებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ოდითგან იყო, ეს დასტურებული ფაქტია, მასზე ისტორიკოსები არ დავობენ – გვამცნობს რ. მეტრეველის მოსაზრებას ე. სევრიუკოვა.

პროფესორი **გივი ღამბაშიძე** კავკასიის ისტორიის, მისი ხალხების წეს-ჩვეულებათა და ტრადიციების ღრმად მცოდნე, აღიარებული მეცნიერია. მასზე სტატია „კავკასია: იმედი, რწმენა და სიყვარული“ მკითხველის ყურადღებას იქცევს. კავკასია მრავალსახოვანი, მაგრამ ერთიანია – ასეთია მთავარი დასკვნა. აქვე ვეცნობით ინგუშეთში, მდინარე ასას ხეობაში არსებულ ტყომა-იერდის ქრისტიანულ (ქართულ) ეკლესიას, რომლის შესწავლაც ბატონი გივის დამსახურებაა.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა **მერაბ ჩუხუამ** თავის დროზე ღიად მოუწოდა რუსეთს, ეღიარებინა ვეინახების დეპორტაცია 1944 წელს გენოციდის აქტად. „ქართულ-ინგუშური: თარგმანის სირთულეები“. ასე ჰქვია მასთან საუბარს, რაც მისი მასწავლებლის აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ბინაში გამართულა. სწორედ ამ დიდი მეცნიერის რჩევით შეუდგა ბატონი მერაბი 80-იანი წლებიდან ინგუშური ენის შესწავლას, დღეს ის ამ დარგის საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტია. ინტერვიუში ის ინგუშურიდან თარგმნის სირთულეებზე საუბრობს.

ჟურნალი გვაცნობს ინგუშ მეწარმეს, რომელიც ყოველმხრივ მხარს უჭერს პროექტს ინგუშური გვარების წარმოშობისა და ქართულ-ინგუშური ეტიმოლოგიური კავშირების შესწავლის თაობაზე – **გელანი ხალუხაევს,** ფილოლოგს, კავკასიის მკვლევარს, ინგუშთმცოდნეს **მარიამ ბეჟიტაშვილს,** ინგუშთა დიდ მეგობარს, მეირაღე **ზურაბ ბიჩინაგურს,** ქისტებს: სპორტსმენ **ტარიელ მუთოშვილს,** მსახიობს, მუსიკოსს, საზოგადო მოღვაწეს **ჯაბრაილ ხანგოშვილს,** პროფესორ **ზაურ გუმაშვილს**.

ჟურნალში მთის ყვავილებივით მიმობნეულია უბრწყინვალესი ფოტოებით დასურათებული თხრობა თბილისზე, ქისტებზე, პანკისის ხეობაზე, მცხეთაზე, სვანეთის გზაზე და თვით სვანეთზე – მესტიაზე, უშგულზე, „კლდის ვეფხვ“ **მიხეილ ხერგიანზე,** მისი საქმის გამგრძელებელ, ცნობილ ალპინისტ **აფი გიგანზე,** ქორა მახვშ **ალექსანდრე ნიგურიანზე,** ბათუმზე, და ბათუმელ ქირურგ **ჯუმბერ უნგიაძეზე**.

მოულოდნელ ცნობებს გვაწვდის ინგუშ **მუსა ზურაბოვის** წერილი „საქართველო და ინგუშეთი: ნათესაური ურთიერთობისა და კეთილმეზობლობის ათასწლეულები“. ავტორი დნმ-გენიალოგიის მეცნიერებაზე დაყრდნობით გვაწვდის ინფორმაციას, რომ საქართველოს მოქალაქეთა დაახლოებით 20 პროცენტი, ვისაც დნმ-ის გამოკვლევა აქვს ჩატარებული, წარმოშობით ინგუში და ჩეჩენია. ეს მაღალი პროცენტი წარმოიქმნა ამ ხალხების რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე მჭიდრო ურთიერთობით.

დაბოლოს, კრებულის ავტორ-რედაქტორი მადლობას უხდის საქართველოში მოგზაურობის დროს მათ გიდსა და მეგზურს **კობა სამხარაძეს** – „არაჩვეულებრივად კომუნიკაბელურს, ენციკლოპედიური განათლების მქონეს, ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის შესანიშნავ მცოდნეს, რომლის წყალობითაც არაჩვეულებრივად თბილი მოგონება დაგვრჩა საქართველოში გატარებულ კვირებზე, კობა სამხარაძესთან ჩვენს შეხვედრას და თანამშრომლობას ამ გამოცემაზე მუშაობისას, მე ღვთის საჩუქრად ვთვლი“ – ამბობს ქალბატონი ელენე სევროუკოვა. და მოჰყავს თვით კობა სამხარაძის სიტყვები: „დაივიწყე დრო, ჩემო მეგობარო, შენ საქართველოში იმყოფები!“

ჟურნალ-კრებული „ნაში ლიცა“ კარგი საჩუქარია კავკასიის ხალხთა ისტორიითა და თანამედროვეობით დაინტერესებული მკითხველისთვის, რაც მთავარია, გამოირჩევა ქართველი და ინგუში ხალხების დიდი, გულწრფელი სიყვარულით.

კიდევ უფრო კარგი საჩუქარია ამავე პროექტით გამოცემული შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ცნობილმა რუსმა პოეტმა ნიკოლაი ზაბილოცკიმ XX საუკუნის 40-იან წლებში თარგმნა.

სანდრო ალექსიძე.

საჭირო დამატება: ვაინახები კავკასიის ძირძველი მოსახლეობაა, რომელიც კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე ცხოვრობს. სიტყვასიტყვით „ვეი ნახ“ ნიშნავს „ჩვენს ხალხს“, რითაც ჩეჩნები, ინგუშები და ქისტები თავიანთ თავს გამოყოფენ სხვა კავკასიელი მთიელებისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნებსა და ინგუშებს თავი ერთ ერად – ვაინახებად წარმოუდგენიათ, ერთმანეთისგან განსხვავდებიან საკუთარი სახელწოდებით: ჩეჩნები თავს „ნოხჩის“ უწოდებენ, ინგუშები კი – „ღალღაის“. ქართულ წყაროებში ჩეჩნების წინაპრებს ნაჩხემატიანებად, ძურძუკებად, ღურძუკებად მოიხსენიებიან.

ვაინახების ერთი ტომი მე-19 საუკუნის დამდეგიდან გადმოსახლდა და ცხოვრობს საქართველოში კახეთის ჩრდილოეთით – პანკისის ხეობაში, ისინი ქისტებად იწოდებიან, თავს მიაკუთვნებენ ჩეჩნებს და არა, ინგუშებს, თუმცა ისტორიული წარმოშობით დღევანდელი მთიანი ინგუშეთის, მდინარე არმხის ხეობიდან არიან.

ქართველთა და ვაინახთა ურთიერთობა ისტორიის სიღრმიდან მოდის. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ძვ.წ.აღ. IV-III ს.ს. მიჯნაზე მოღვაწე ფარნავაზზე, რომელიც აუმხედრდა მაკედონელ დამპყრობლებს, კავკასიელ მთიელთა დახმარებით გააერთიანა იბერია და თავი მეფედ გამოაცხადა. ფარნავაზმა ცოლად შეირთო დურძუკების წინამძღოლის ასული და ამით განიმტკიცა მათი მხარდაჭერა მტერთან ბრძოლაში. მართლაც, მისი სიკვდილის შემდეგ ახალგაზრდა მეფისწულს საურმაგს ერისთავები აუმხედრდნენ და მისი მოკვლა მოინდომეს. საურმაგი ძურძუკეთში გაიქცა, იქიდან დედეულები წამოიყვანა და თავის მომხრე ერისთავებთან ერთად აჯანყება ჩააქრო. რადგან „ძურძუკეთი ვეღარ იტევდა კაცთა სიმრავლისგან, აჰყარა კავკასიით საურმაგ და დასხნა დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე“.

ს. ა.

რედაქცია განსაკუთრებულ მადლობას მოახსენებს აკადემიკოს როინ მეტრეველს ამ წიგნების მოწოდებისთვის.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა გადაჭარბებით სრულდება

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 11.6%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა ასევე 12.7%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის იანვარ-ნოემბერში აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 235 მლნ 268 ათას 100 ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 262 მლნ 477 ათას 500 ლარი შეადგინა, ანუ გეგმა 111.6%-ით შესრულდა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, 11 თვის მონაცემებით, 110.6%-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 112.3%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 119.9%-ით.

საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 12.1%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 13.5%-იანი, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 17.4%-იანი გადაჭარბებითაა შესრულებული.

რაც შეეხება თვითმმართველ და მუნიციპალურ ბიუჯეტებს მათი შესრულების მონაცემები ასე გამოიყურება: ბათუმი 109.3%, ქობულეთი - 177.4%, ხელვაჩაური – 129.8%, ქედა – 84.3%, შუახევი -114.9% და ხულო - 118.4%.

„მწვანე ეკონომიკა“ მთის კურორტებსა და სოფლის მეურნეობისთვის

მთის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ევროპული პროექტის „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ დასაწყებად, რომელიც საქართველოში სამთო ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას ისახავს მიზნად.

ერთობლივი პროექტი 4-წლიანია, 2019 წელს დაიწყება და ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და იმერეთის განვითარებას შეუწყობს ხელს.

სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი მიმწოდებლებისთვის ტურისტული სერვისების მიწოდების ეროვნული ხარისხის სტანდარტებისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას. შემუშავებული სტანდარტების საფუძველზე სასტუმროებისა და სამთო/სამოგზაურო გიდების სერტიფიცირებას.

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის ორგანულ სოფლის მეურნეობის კანონმდებლობასთან, შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, ორგანული სოფლის მეურნეობით დაკავებული ან დაინტერესებული ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებას.

შეთანხმება ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიზნესისთვის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება, დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების შემუშავება.

პროექტის შემუშავება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში.

◎ ხელბურთი

„შავი ზღვის ბიჭები“ დაწინაურდა

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ტურის პაექრობები გაიმართა. ქვეყნის ჩემპიონმა „შავი ზღვის ბიჭებმა“ თასის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული თბილისის „პეგასი“ დაამარცხა და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ჩაუდგა სათავეში.

დაძაბულად და დრამატულად წარიმართა წინა ჩემპიონატის პრიზიორების — ქუთაისელთა და თელაველთა მატჩი. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში თელავის „იმედი“ და სტუ გაერთიანდნენ. ამ მატებით გუნდი უფრო ძლიერი და დაბალანსებული გახდა. ჩემპიონატში მას ერთ-ერთ ფავორიტადაც მიიჩნევენ. ეს გუშინდელ მატჩშიც გამოჩნდა. მართალია, თავიდან თელაველები შეხვედრას 4:15-ს აგებდნენ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და გამარჯვება, რითაც გათამაშების ცხრილში „პეგასს“ ქულებით გაუთანაბრდნენ.

პეგასი — ბათუმი 37:40, ქუთაისი — თელავი 32:35, სპორტუნი — წყალტუბო 38:29, გორი — სამტრედია 33:29.

„ბათუმი“ — 10, „პეგასი“, „თელავი“ — 8-8, „ქუთაისი“ — 6, „გორი“— 4, „სპორტუნი“ — 2, სამტრედია — 2, „წყალტუბო“ — 0 ქულა.

13 დეკემბერი. სამტრედია — სპორტუნი, წყალტუბო — გორი, ქუთაისი — პეგასი, ბათუმი — თელავი.

ორი მარცხი სტუმრად

თბილისის ხელბურთელ ქალთა გუნდი „ოლიმპია“ საქართველო-აზერბაიჯანის ერთობლივ ჩემპიონატში მონაწილეობს. ის, ფაქტობრივად, ნაკრებია, რომელშიც 15-19 წლის გოგონები თამაშობენ. ჩვენებმა ტურნირი ოქტომბერში დაიწყეს და აზერბაიჯანის ჩემპიონ „აზერსუსთან“ ორი მარცხის შემდეგ შინ „იდმან აკადემიასს“ 3 ქულა აართვეს, ხოლო მომდევნო ტურში სტუმრად ბაქოს „ყარაბაღთან“ ორივე მატჩი დათმეს.

ყარაბაღი-ოლიმპია 33:23

ოლიმპია: ჯავახია, ჩავჩიძე, ჯგერენაია — 9, ქიტესაშვილი — 7, მაჭარაშვილი — 4, ე. ჩხაიძე — 2, გოგია — 1, ქ. ცინცაძე, ა. ჩხაიძე, თეთრაშვილი, ჩირგაძე, ბუალავა, დვალიშვილი, ქებაძე, კორძაია.

ყარაბაღი - ოლიმპია 42:18

ოლიმპია: ჯავახია, ჩავჩიძე, ქიტესაშვილი — 5, ჯგერენაია — 4, დვალიშვილი — 4, ა. ჩხაიძე — 3, ე. ჩხაიძე — 1, თეთრაშვილი — 1, მაჭარაშვილი, გოგია, ქ. ცინცაძე, ჩირგაძე, ბუალავა, ქებაძე, კორძაია.

სატურნირო მდგომარეობა: „აზერსუ“ — 14 (8 შეხვედრიდან) 289:170, „აზეროილი“ 12 (7) 227:138, „ყარაბაღი“ 10 (8) 254:191, „იდმან აკადემიასი“ 5 (8) 200:257, „ოლიმპია“ 3 (6) 134:205, „განჯლარ ბირლი“ 0 (7) 134:287.

„ოლიმპია“ 20-21 დეკემბერს თბილისში „განჯლარ ბირლის“ უმასპინძლებს.

გივი გაგუა

◎ ჭადრაკი

მსოფლიომ პოლონეთი დაჩაგრა

პოლონურ ვროცლავში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი —კრისტინა რაძიკოვსკას მემორიალი, რომელშიც მასპინძელთა ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს დაუპირისპირდა.

შეჯიბრების ბოლო ორი დღე რაპიდს (თითოეულ მოჭადრაკეს 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) დაეთმო. მსოფლიოს ნაკრების წევრ ლელა ჯავახიშვილს 6 ტურის შემდეგ ოთხი ქულა ჰქონდა: მონიკა სოჩკო, ანა ვარაკომსკა და კლაუდია კულონი დაამარცხა, იოლანტა ზავადსკას ორჯერ დაუზავდა, ხოლო კარინა შჩეპკოვსკა-ჰორაკოვსკასთან წააგო. გუშინ ოთხი ტური გათამაშდა. ჯავახიშვილმა პირველი დღის მონაგარს 2.5 ქულა შესძინა: ვარაკომსკას და კულონს აჯობა, შჩეპკოვსკა-ჰორაკოვსკას ყაიმზე შეუთანხმდა, ხოლო სოჩკოსთან პარტია დათმო, საბოლოოდ კი 6.5 ქულით მეორე იყო. საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ყაზახ ჟანსაია აბდუმალიკს, რომელმაც 10-დან 8 ქულა მოაგროვა.

მსოფლიოს ნაკრებმა სწრაფ ჭადრაკში მასპინძლებს 31:19 მოუგო. ხოლო საბოლოოდ დანარჩენმა მსოფლიომ სამი ტურნირის ჯამში პოლონეთის გუნდი 74:51, დაამარცხა (კლასიკური: 12.5:12.5; ბასკის სიტემით: 30.5:19.5; რაპიდი: 31:19). ლელა ჯავახიშვილის წვლილი კი ასეთია: 3+5.5+6.5 ქულა.

თამაზ პატარიძე,

სურათზე: ლელა ჯავახიშვილი და კარინა შჩეპკოვსკა-ჰორაკოვსკა.

◎ ფეხბურთი

საბა და „ლოკო“ ევროპას დაემშვიდობნენ

ფეხბურთის ქართველი ქომაგები იმედოვნებდნენ, რომ საბა კვირკველიას „ლოკომოტივი“ წარმატებით ითამაშებდა გერმანიაში და ევროპალიგაზე გადავიდოდა, მით უმეტეს, რომ უმოტივაციო „პორტუმ“ თურქეთში „გალათასარაი“ 3:2 დაამარცხა. მოსკოველი რკინიგზელები „შალკესთან“ ვერაფერს გახდნენ — 0:1 წააგეს და ევროტურნირებზე ასპარეზობა დაასრულეს.

C ჯგუფის გადამწყვეტი მატჩი გაიმართა „ენფილდზე“: „ლივერპულმა“ მოჰამედ სალაჰის ერთადერთი გოლის წყალობით აჯობა „ნაპოლის“. მასპინძლებმა დამსახურებულად მოიგეს ეს ორთაბრძოლა — მათ კიდევ რამდენჯერმე ჰქონდათ კარის აღების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს, თუმცა, ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად. „ნაპოლის“ მხოლოდ ორჯერ შეეძლო ბურთის გატანა, მაგრამ ვერ შეძლო. „სიკვდილის ჯგუფიდან“ პლეი ოფში გავიდა „პარი სენ-ჟერმენიც“ — ბელგრადში ბოლოს მაინც გატეხა „ცრვენა ზვეზდა“. თავი გამოიჩინეს ედინსონ კავანიმ, ნეიმარმა, მარკინიოსმა და კილიან მბაპემ.

„ტოტენჰემი“ თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდა „ბარსელონასთან“ გასვლით შეხვედრას, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ლუკას მოურამ „ინტერი“ ჯგუფში ჩატოვა, რადგან ამ უკანასკნელმა შინ პსვ-ს ვერ აჯობა.

A ჯგუფი

ბრიუგე-ატლეტიკო 0:0

ბრიუგე (3-5-1-1): ჰორვატი — პულენი, მეჩელი, დენსვილი — ვორმერი, ამრაბატი, ნაკამბა, ვანაკენი (90+1. რიტსი), ნგონგე (69. პერესი) — ოპენდა (74. შრივერსი) — ვესლი.

ატლეტიკო (4-4-2): ობლაკი — არიასი, გოდინი, მონტერო რუბიო, საულ ნიგესი — ლემარი (61. კორეა), როდრიგო, პარტეი (69. კალინიჩი), კოკე — გრიზმანი, მარტინში (60. ვიტოლო).

მონაკო-დორტმუნდი 0:2

გოლები: 0:1 რაფაელ გერეირო (15), 0:2 რაფაელ გერეირო (88)

მონაკო (4-4-1-1): ბენალიო — ბიანკონე (78. სერანო), გლიკი, ბადიაშილი, რაჯი — ჰენრიხსი, ტილემანსი, აიტ ბენასერი, მასენგო (69. ტურამ-ულიენი) — დიოპი — ფალკაო (64. სილა).

დორტმუნდი (4-2-3-1): ჰიტცი — ჰაკიმი, თოფრაქი, დიალო, შმელცერი — ვაიგლი, დაუდი (76. ვოლფი) — პულიშიჩი, გიოტცე, რაფაელ გერეირო (90+2. გომესი) — ფილიპი (79. პაკო ალკასერი).

„დორტმუნდი“, „ატლეტიკო“ —13-13, „ბრიუგე“ — 6, „მონაკო“ — 1 ქულა.

B ჯგუფი

ბარსელონა-ტოტენჰემი 1:1

გოლები: 1:0 დემბელე (7), 1:1 ლუკას მოურა (85)

ბარსელონა (4-3-3): სილესენი — სემედო, ლენგლე, ვერმალენი, მირანდა — არტური, ალენია, რაკიტიჩი (46. ბუსკეტსი) — დემბელე (77. დ. სუარესი), ელ-ჰადადი (63. მესი), ფილიპე კოუტინიო.

ტოტენჰემი (4-2-3-1): ლორისი — უოკერ-პეტერსი (61. ლამელა), ალდერვეირელდი, ვერტონგენი, როუზი — სისოკო, ვინქსი (83. ლორენტე) — ერიქსენი, ალი, ჰეონ-მინ სონი (71. ლუკას მოურა) — კეინი.

ინტერი-ეინდჰოვენი 1:1

გოლები: 0:1 ლოსანო (13), 1:1 იკარდი (73).

ინტერი (4-5-1): ჰამდანოვიჩი — დ'ამბროზიო, დე ვრი, შკრინიარი, ასამოა (69. მარტინესი) — პოლიტანო (83. ვრსალკო), კანდრევა (56. ბ. კეიტა), ბროზოვიჩი, ბორხა ვალერო, პერიშიჩი — იკარდი.

ეინდჰოვენი (4-3-3): ზოეტი — დუმფრისი, სეინსბერი, ვიერგეევერი, ანხელინო — ჰენდრიქსი, გუტიერესი (65. სადილეკი), როსარიო — ბერგვინი (71. მალენი), ლ. დე იონგი, ლოსანო (90+5. პერეირო).

„ბარსელონა“ — 14, „ტოტენჰემი“, „ინტერი“ — 8-8, „ეინდჰოვენი“ — 2 ქულა.

C ჯგუფი

ლივერპული — ნაპოლი 1:0

გოლი: 1:0 სალაჰი (34)

ლივერპული (4-3-3): ალისონი — ალექსანდერ-არნოლდი (90. ლოვრენი), მატიპი, ვან დიიკი, რობერტსონი — ვაინალდუმი, ჰენდერსონი, მილნერი (85. ფაბინიო) — სალაჰი, რობერტო ფირმინო (79. ნ. კეიტა), მანე.

ნაპოლი (4-3-3): ოსპინა — მაქსიმოვიჩი, რაულ ალბიოლი, კულიბალი, მარიო რუი (70. გულამი) — ალანი, ჰამშიკი, რუისი (62. ზელინსკი) — ხოსე კალეიხონი, მერტენსი (67. მილიკი), ინსინიე.

ცრვენა ზვეზდა — პსჟ 1:4

გოლები: 0:1 კავანი (10), 0:2 ნეიმარი (40), 1:2 გობელიჩი (56), 1:3 მარკინიოსი (74), 1:4 მბაპე (90+2)

ცრვენა ზვეზდა (4-2-3-1): ბორიანი — სტოიკოვიჩი, გობელიჩი, დეგენეკი, როდიჩი — იოვანჩიჩი, კაუსიჩი — ელ ფარდუ, მარინი (86. იოველიჩი), სიმიჩი (72. ებესილიო) — პავკოვი (72. ბოაკი).

პსჟ (4-2-3-1): ბუფონი — კერერი, ტიაგო სილვა, კიმპემბე, ბერნატი — ვერატი (83. რაბიო), მარკინიოსი — მბაპე, ნეიმარი, დი მარია (88. დრაქსლერი) — კავანი.

პსჟ — 11, „ლივერპული“, „ნაპოლი“ — 9-9, „ცრვენა ზვეზდა“ — 4 ქულა.

D ჯგუფი

შალკე-ლოკომოტივი 1:0

გოლი: 1:0 შიოპფი (90+1)

შალკე (4-1-3-2): ფერმანი — გოლერი (59. ჰარითი), ნალდო, ნასტასიჩი, მენდილი (16. ბაბა) — სტამბული — შიოპფი, სერდარი, მასკარელი — ტოიხერტი (72. კუტუკუ), კონოპლიანკა.

ლოკომოტივი (4-4-2): გილერმე — იგნატიევი, კვირკველია, ჰიოვედესი, რიბუსი — ბარინოვი, კრიხოვიაკი, დენისოვი, ალ. მირანჩუკი — ედერი (46. ან. მირანჩუკი), ფარფანი (80. სმოლოვი).

გალათასარაი — პორტუ 2:3

გოლები: 0:1 ფელიპე (17), 0:2 მარეგა (42-პენ), 1:2 ფეგული (45+1-პენ), 1:3 სერჟიო ოლივეირა (57), 2:3 დერდიოკი (65).

გალათასარაი (4-5-1): მუსლერა — მარიანო, მაიკონი, ოზან ქაბაქი, ნაგატომო — ფეგული (90. მუგდათ ჩელიქი), ფერნანდო, დონკი (46. ონიეკურუ), ნ'დიაიე, გარი როდრიგესი — დერდიოკი.

პორტუ (4-3-3): კასილიასი — მაქსი პერეირა, ფელიპე, ლეიტე, ალექს ტელიესი — ერერა, დანილო პერეირა, სერჟიო ოლივეირა (82. ავაზიემი) — ადრიანი (73. ანდრე პერეირა), მარეგა, ერნანი (73. ჟორჟე).

გამოუყენებელი პენალტი: ფეგული (67. გალათასარაი)

„პორტუ“ — 16, „შალკე“ — 11, „გალათასარაი“ — 4, „ლოკომოტივი“ — 3 ქულა.

ლექსო ცინცაძე

ღვაწლმოსილი

ღვთის მადლი გფარავდეთ, ბატონო ჯემალ!

80 წლის იუბილეს ვულოცავთ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და დამსახურებულ ფეიქარს, უკეთილშობილეს პიროვნებას და სანიმუშო მოქალაქეს ბატონ **ჯემალ ალიბეგაშვილს!** მისი შრომისმოყვარეობა, სიცოცხლის ხალისი და შემოქმედებითი ნიჭი დღესაც სამაგალითოა მასზე ბევრად უმცროსებისთვის.

ჯემალ ალიბეგაშვილი დაიბადა 1938 წლის 13 დეკემბერს თბილისში, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის ფუძემდებლისა და დეკანის აკაკი ალიბეგაშვილის და უმშვენიერესი ქალბატონის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის თამარ ბოჭორიშვილის ოჯახში. ჯემალი მხოლოდ სამი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ქალბატონ თამარს მარტოს მოუხდა მისი და მისი უმცროსი დის ჯილდას აღზრდა.

დედის სანათესაომ დიდი წვლილი შეიტანა ობლების აღზრდაში. ჯემალს ადრეული ბავშვობიდან ჩაუნერგეს ადამიანების, სამშობლოს, შრომის სიყვარული, ერთიანობის ძალაც და სილამაზეც.

ჯემალ ალიბეგაშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-20 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიგრაფიის ფაკულტეტზე. იგი იყო სახელობითი სტიპენდიანტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. წარმატებულად დაწყებული კარიერის მიუხედავად, გრძნობს, რომ პოლიგრაფია არ არის მისი მოწოდება, ამასთანავე, სულ უფრო ინტერესდება მამის სპეციალობით. ის სწავლას იწყებს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში. ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მამის ხსოვნის პატივისცემასთან ერთად დიდ როლს თამაშობს საფეიქრო დარგში წარმატებულად მოღვაწე ბიძის ნაუმ ბოჭორიშვილის და სიძის პეტრე სულაძის რეკომენდაციებიც.

საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იწყება ბატონი ჯემალის ხანგრძლივი მოღვაწეობა საფეიქრო მრეწველობის დარგში, სადაც მან გაიარა რთული გზა ქვეოსტატიდან დარგის აღიარებულ ლიდერამდე. იყო ქვეოსტატი, საამქროს უფროსი, მთავარი მექანიკოსი, ტექნიკური განყოფილების უფროსი, მთავარი ინჟინერი, წარმოების ხელმძღვანელი, დირექტორი. მის პროფესიულ ცხოვრებაში აღსანიშნავია კომვოლური ნართის დართვის ფაბრიკაში (1963-1968 წწ), შულავერის მატყლის სამრეცხაო ფაბრიკაში (1968-1971 წწ), კომვოლური ნართის დართვის ფაბრიკაში (1971-1976 წწ) საქმიანობის და შალის საქსოვი ფაბრიკისა (1978-1992 წწ) და მაუდ-კამვოლის კომბინატის (1993-1996 წწ) ხელმძღვანელობის პერიოდები.

წარმატებულ პრაქტიკულ და საორგანიზაციო საქმიანობას ბატონი ჯემალი წარმატებით უხამებდა სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობას. წლების მანძილზე იყო საფეიქრო მრეწველობის მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის ცენტრის მთავარი სპეციალისტი. არის 50-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, რომლებმაც დარგს დიდი ეკონომიკური ეფექტი მოუტანა.

ბატონი ჯემალი ამჟამადაც აგრძელებს მოღვაწეობას — იგი მის მიერვე დაფუძნებული სააქციო საზოგადოების „ფეიქარ 95“-ის დირექტორია.

მის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს მეუღლე, პროფესიით ეკონომისტი ირა ძვიადაძე. ქალბატონ ირასთან ერთად ჯემალმა შექმნა ლამაზი, ეროვნული და ჰუმანური ღირებულებებით მცხოვრები ოჯახი.

ქალიშვილი თამარ ალიბეგაშვილი ცნობილი ექიმია, მედიცინის დოქტორი, მისი მეუღლე დიმიტრი კორძაიაც ექიმია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ვაჟი აკაკი ალიბეგაშვილი გაყვა ბაბუის და მამის კვალს და დაამთავრა მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტი, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. იგი ცნობილი მთამსვლელია. მისი მეუღლე გალინა ალიბეგაშვილი ექიმი-სტომატოლოგია.

დღეს ბატონი ჯემალი დიდი ოჯახის უფროსია, ოთხი შვილიშვილისა და სამი შვილთაშვილის ბაბუაა. შვილიშვილებიდან სამი დაქორწინებულია: თორნიკე კორძაია ფინანსისტია, მისი მეუღლე ანა გიგუაშვილი — ექიმი. სალომე კორძაია და მისი მეუღლე თორნიკე ოთიაშვილიც ექიმები არიან. ირინა ალიბეგაშვილი პიარის აკადემიის სტუდენტია, ხოლო მისი მეუღლე ირაკლი ტაბატაძე — ინჟინერი. მეოთხე შვილიშვილი ბექა ალიბეგაშვილი ჯერ სტუდენტია. ის სპორტსმენიცაა, ამიერკავკასიის სამგზის ჩემპიონი კონტაქტურ ორთაბრძოლაში. ახალი ენერგია შთაბერეს ჯემალს შვილთაშვილებმა — დემეტრე და ალექსანდრე კორძაიებმა და დათო ოთიაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ჯემალის გზა არ ყოფილა ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი. განსაცდელიც ბევრი შეხვედრია და წინააღმდეგობაც. ყველაფერი ვაჟკაცურად გადაულახავს და ახალი შემართებით დაუწყია აღმართი გზა ახალი გამარჯვებისკენ. მრავალს მიუღია მისი უშურველი დახმარება, პროფესიული ხელშეწყობა, ცხოვრებისეული დიდი გამოცდილების გაზიარება.

ერთი ამბით დავასრულებთ: კომუნისტების მმართველობის ჟამს, ჯემალის ბიძამ ნაუმმა მშობლიურ სოფელ ჭოლებში აღადგინა წმ. გიორგის ეკლესია. ჯემალმა კი ზარები ჩამოასმხმევინა და სამრეკლოზე ჩამოკიდა. დღესაც, იმერეთის ამ ულამაზეს სოფელს ყოველ დილით აღვიძებს ამ ზარების წკრიალა ხმა.

ამ ხმის მადლი გფარავდეთ ბატონო ჯემალ!

დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებით მოღვაწეობას გისურვებთ.

დიმიტრი კორძაია,
ზურაბ სულაძე,
ზაზა სულაძე,
ნუგზარ არანისელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

სანთელი

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონ

ციცინო ივანიშვილის

გარდაცვალების გამო. დიდი გულისტკივილით უსამძიმრებს ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს.

პატივისცემით
რობერტ სტურუა და
რუსთაველის თეატრის კოლექტივი.

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს მეგობარს, გამოჩენილ არმენოლოგს, პროფესორ ბონდო არველაძეს მეუღლის — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მრავალი საინტერესო ნაშრომის ავტორის, მათ შორის იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური (თბილისური) ლექსიკონის“ შემდგენლისა და გამომცემლის

რუსუდან კუსრაშვილის

გარდაცვალების გამო.

სისხლიანი გარჩევა „წისქვილში“

სისხლიანი გარჩევა რესტორან „წისქვილში“ — საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც ირკვევა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელმა, 36 წლის ემზარ ზურაბიშვილმა რესტორან „წისქვილში“ ჭაბუკა გუშარაშვილს თავის არეში დოქი ჩაარტყა. დაცვის მხარე გადაწყვეტილების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში გეგმავს. ასევე გამოძიება ეძებს კიდევ ერთ, პირს, რომელმაც დაზიანებები ამ ადამიანს მიაყენა და ადგილიდან მიიმალა. ემზარ ზურაბიშვილს საგნის იარაღად გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობა ედება ბრალად, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ყინულზე გასრიალებული 5 მილიონი

„ფლანგვის დირექტორის“ ინფორმაციით, ზუგდიდში ყინულის მოედნის რეაბილიტაციისთვის 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, თუმცა ის ამ დრომდე არ ფუნქციონირებს.

ყინულის მოედანი 2012 წელს აშენდა, ორჯერ დაზიანდა და კვლავ რეაბილიტაციის ეტაპზეა. ამისთვის კი წელს დამატებით 400 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი.

„2015 წელს 154 000 ლარი დაიხარჯა რეაბილიტაციაზე. 2018 წელს ისევ არის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 408 ათასი ლარი ყინულის მოედნის რეაბილიტაციისთვის. ეს თანხა უფრო მეტია, ვიდრე 2018 წლის ზუგდიდის ბიუჯეტში გაწერილი თანხები სოციალურად დაუცველთა, შშმ პირთა, ვეტერანთა და დევნილთა დასახმარებლად“, — ამბობს „ფლანგვის დეტექტორის“ მკვლევარი დავით მჟავანაძე.

ირანის შვიდი მოქალაქე უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული საგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით, საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის შვიდი მოქალაქე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები ე.წ. „ჰავალას“ მეთოდის გამოყენებით უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდნენ და დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ.

„კერძოდ, ისინი საქართველოდან ირანის ისლამური რესპუბლიკის საბანკო სისტემაში ფულადი გზავნილების განხორციელებას აღნიშნული საქმიანობისთვის საჭირო ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე, ქართული საბანკო სისტემის გვერდის ავლით ახდენდნენ. ბრალდებულები ფულადი თანხების კონვერტაციისა და გადარიცხვების სახით გაწეული მომსახურების სანაცვლოდ დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა საერთო ჯამში — 2 097 000 ლარი შეადგინა.

მილოცვა

ეთერ ფაცურიას

ძვირფას კოლეგას, პატივცემულ ქალბატონს — გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მთავარ რედაქტორს, საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირების წევრს, მარიკა ბარათაშვილის და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატს, „ღვაწლმოსილი და ამაგდარი მოღვაწის“ წოდების ღირსეულ მფლობელს, პოეტს, პროზაიკოსს, პუბლიცისტს, უკეთილშობილეს ადამიანს გულწრფელი პატივისცემით ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს და ბედნიერებას თავის კარგ შვილთან და შვილიშვილებთან ერთად.

მეგობრები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციიდან

ასფალტზე დაღვრილი ტონობით შოკოლადი

საახალწლოდ ბევრი შოკოლადის მოხმარება უჩვეულო საქმე არ არის, მაგრამ გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში ძალიან ტკბილი ინციდენტი მოხდა.

ქალაქში, რომელიც დორტმუნდიდან 25 მილის მოშორებით მდებარეობს, ერთ-ერთ შოკოლადის ქარხანაში შოკოლადის შემნახავი ავზი მწყობრიდან გამოვიდა. აღნიშნულის გამო შემთხვევის ადგილზე სახანძრო ბრიგადები გამოიძახეს, რომლებსაც ტკბილი სანახაობა დახვდათ. ასფალტზე ტონობით შოკოლადი იყო დაღვრილი.

აღსანიშნავია, რომ შოკოლადმა ქარხნის ტერიტორიიდანაც გამოჟონა და მიმდებარედ, სამანქანო გზაზეც დაიღვარა. სამანქანო გზა ტკბილი ინციდენტის გამო ორი საათის განმავლობაში გადაკეტილი იყო. ქარხნის დირექტორის განცხადებით, ინციდენტი აღმოფხვრილია და ქარხანა მუშაობას განაგრძობს. ინციდენტი ორშაბათს მოხდა.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

2018 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერლები

ჟურნალმა Forbes-მა 2018 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერლების რეიტინგი გამოაქვეყნა. რეიტინგის სათავეში ჯეიმს პატერსონი აღმოჩნდა, რომელმაც თავისი შემოქმედებით, წელს 86 მლნ დოლარის გამომუშავება მოახერხა.

ამერიკელი ჯეიმს პატერსონი, რომელიც ფსიქოლოგ **ალექს კროსზე** დაწერილი რომანების ავტორია, მესამე წელია, ჟურნალ Forbes-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწერლების რეიტინგის სათავეებში გასულ წლებშიც მოხვდა. მეორე ადგილი ჰარი პოტერის ავტორმა **ჯოან როულინგმა** დაიკავა 54 მლნ დოლარით, მესამე ადგილზე კი **სტივენ კინგი** მოხვდა, რომელმაც 27 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

Forbes-ის რეიტინგში ასევე მოხვდნენ **მაიკლ ვულფი, დენ ბრაუნი, ჯეფ კინი, დანიელა სტილი, ნორა რობერტსი, რიკ რიორდანი.**



ოდრი ჰეპბერნის შესახებ სერიალს გადაიღებენ

ცნობილი ბრიტანელი მსახიობის ოდრი ჰეპბერნის შესახებ სერიალს გადაიღებენ. ინფორმაციას the Variety ავრცელებს.

სერიალის სიუჟეტი 2015 წელს გამოცემულ წიგნს „Audrey at Home“-ს დაეფუძნება. სერიალს, რომელშიც ნაჩვენები იქნება ოდრი ჰეპბერნის ცხოვრებისა და კარიერის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი, სატელევიზიო შოუს „ახალგაზრდა პაპის“ შემქმნელები გადაიღებენ.

ოსკაროსანი მსახიობი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალად იყო აღიარებული. მისი შემოქმედების მთავარ კინოროლად „რომაული არდადეგებიდან“ პრინცესა ანას როლი ითვლება.

პარიზში DIOR-ის მაღაზია საახალწლოდ მორთეს



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6609; ევრო - 3.0286;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3562
100 რუბლი - 4.0063; თურქული ლირა - 0.4969;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5694;
1000 სომხური დრამი - 5.4830.

ამინდი 13 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +5
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -1, დღე +4
თბილისი: ღამე +6, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge

თუ მეხსიერება კარგი გაქვთ...

ალცჰეიმერის დაავადების გასარკვევი ტესტი გამოიგონეს ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფმა. ეს ტესტი ადამიანს მეშვეობით შეიძლება, თუ რამდენად კარგად ახსოვს კაცს წარსული ცხოვრების მოვლენები.

რამდენადაც ცნობილია, ადრეულ სტატიაზე ალცჰეიმერის დიაგნოსტირება ძალზე ძნელი საქმეა, არადა მისი მკურნალობა ამ ეტაპზე გაცილებით ეფექტიანია. მაგრამ არიზონის (აშშ) უნი-

ცხოვრადგე მაქყოფე ისეგა, ოდონდ ამქორდეს მგელობა“ ვაჟა-ფშაველა

ციის“ ნარძოძადგენლებს

„თაღლითების ქვეყანაში შენც რატომ არ ითაღლითე?“- მეკითხება „მარჯვე“ კაცი